# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№2 (9.961)

7-13 თებერვალი; 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# ზემო მაჩხაანში ახალი სკოლა გაიხსნა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანში სასწავლო პროცესი ახლადაშენებულ თანამედროვე სტანდარტების შენობაში დაიწყო. სკოლა განათლების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ ააშენა და მასზე 5 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. სკოლა 300 მოსწავლეზეა გათვლილი და სრულადაა აღჭურვილი. მოწყობილია საბუნებისმეტყველო და საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტები. თანამედროვე ინვენტარით აღიჭურვა სპორტული დარბაზი.

2015 წელს გაჩენილი ხანძრის გამო დედოფლისწყაროს ერთერთი დიდი სოფელი სკოლის გარეშე დარჩა, რის გამოც გაკვეთილები კულტურის სახლსა და მეზობელ სოფლებში ტარდებოდა.




1 თებერვალს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი საკრებულოს თავმჯდომარესთან, ნუგზარ პაპიაშვილთან და დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელთან ეთერ დავითაშვილთან ერთად სოფელ ზემო მაჩხაანის ახალი საჯარო სკოლის გახსნას დაესწრო და მოსწავლეებს სასწავლო პროცესის საკლასო ოთახებში განახლება მიულოცა. მერმა და საკრებულოს თავმჯდომარემ პედაგოგებსა და მოსწავლეებს ახალი სკოლის კედლებში წარმატებული და ნაყოფიერი შრომა უსურვეს. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საჯარო სკოლის შენობაში საკლასო ოთახების გარდა მოწყობილია საბუნებისმეტყველო და საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტები, თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილია სპორტული დარბაზი, სკოლას ასევე აქვს ცენტრალური გათბობის სისტემა.

მაია ხუნაშვილი - (**ზემო მაჩხაანის სკოლის დირექტორი**): „სკოლა დასრულებულია მთლიანად. შენობაში დამონტაჟებულია შესაბამისი ტექნიკა, ვიდეო სათვალთვალო აპარატურა, ლიფტი და სახანძრო უსაფრთხოების სისტემა. უკვე აღჭურვილია ყველანაირი ავეჯითა და ინვენტარით, რითაც სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვა შეგვიძლია. სრულ მზადყოფნაშია როგორც საკლასო ოთახები, ისე კაბინეტები. ჩართულია გათბობა და უწყვეტად მოგვეწოდება წყალიც. ყველაფერი მომარაგებულია საიმისოდ, რომ ხელი არ შეგვეშალოს. ცხადია პანდემიასთან დაკავშირებით მიღებულია სპეციალური ზომები და ისეთი გარემოა შექმნილი, სადაც მაქსიმალურად დაცული იქნება უსაფრთხოების ზომები და ყველა კლასი ითვალისწინებს ჯანდაცვის რეკომენდაციებს. გასულ წლებში დიდი გაჭირვება გამოვიარეთ. რამდენიმე შენობებში ვიყავით გადანაწილებული და ასე დამატებითი სირთულეების ფონზე ვახერხებდით სასწავლო პროცესის წარმართვას. ხანძრიდან ორი დღის შემდეგ უკვე შევძელით სწავლა დაგვეწყო და ამ პერიოდში, ბევრი დაბრკოლების მიუხედავად, სასწავლო პროცესი არ შეგვიწყვეტია. ორ ცვლაში ვსწავლობდით და წარმოუდგენელი სირთულეები დავძლიეთ. ახლა ყველანაირად მოგვიგვარდა პრობლემები და ვართ ზღაპრულ გარემოში, საოცნებო პირობები გვაქვს.

ამჟამად ზემო მაჩხაანის სკოლაში 220 მოსწავლე გვყავს, თუმცა შენობა 300 მოსწავლეზეა გათვლილი და თავისუფლად შევძლებთ კლასების დამატებას. აქედან 33 მოსწავლე მირზაანის სასწავლო კორპუსში სწავლობს. უკვე გადავედით ერთ ცვლაში და ცოტას ამოვისუნთქებთ. ეს რეჟიმი ჩვენთვის წარმოუდგენლად დიდი ბედნიერებაა“.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი - (**დედოფლისწყაროს მერი**): „ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან ვიმყოფები ზემო მაჩხაანის დამწვარი სკოლის ადგილზე, სადაც სრულიად სხვა სურათია. ახალი, ევროპული სტანდარტის შესაბამისი სკოლა აშენდა და დღეს პირველი გაკვეთილები ჩატარდა. მინდა ეს ბედნიერი დღე მივულოცო სკოლის თითოეულ აღსაზრდელს. პედაგოგებს, რომლებმაც 5 წლის განმავლობაში, შენობის გარეშე გმირულად იმუშავეს და ბევრი სირთულე გადაიტანეს. რამდენიმე შენობაში გადანაწილებულებმა მაინც შეძლეს, რომ მოსწავლეებისთვის სწავლა-განათლება მიეცათ. ცხადია, ისტორიულ დღეს ვულოცავ ამ ლამაზ სოფელს. ვხედავთ, რომ ახალი შენობა მოცულობითაც და დაგეგმარებითაც სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ახლა ისევ გრძელდება ეზოში დარჩენილი ძველი შენობის დემონტაჟი, რათა სრულად გაიწმინდოს ეზო. რამდენიმე თვეში მთელი ეს ტერიტორია საბოლოოდ დასრულებულ სახეს მიიღებს და კიდევ უფრო გალამაზდება. ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არა მხოლოდ დედოფლისწყაროში, ან კახეთში, არამედ მთელს ქვეყანაში ერთერთი საუკეთესო სკოლა გვაქვს ზემო მაჩხაანში და მე ამით ამაყი ვარ.

1 თებერვლიდან დედოფლისწყაროს ყველა სკოლაში საკლასო ოთახებში განახლდა სასწავლო პროცესი. პანდემია შედარებით კონტროლს ექვემდებარება, რამაც შესაძლებელი გახადა ბავშვები სკოლაში მისულიყვნენ. მინდა, დედოფლისწყაროს თითოეულ სკოლას და მოსწავლე-მასწავლებლებს მივულოცო ახალი სემესტრის დაწყება და წარმატებები ვუსურვო. ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროების ყველა მოთხოვნა დაცულია.

*/გაგრძელება გვ.3/*

C M Y K

# მოსახლეობის საყურადღებოდ !

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილია 256 000 ლარი. პრიორიტეტების შერჩევის მიზნით საერთო კრებები ადმინისტრაციულ ერთეულებში ჩატარდება შემდეგი გრაფიკით:

**საბათლო - 17 თებერვალი, 12:00 სთ**
**ფიროსმანი -17 თებერვალი, 13:30 სთ**
**სამთაწყარო -17 თებერვალი, 15: 00 სთ**
**ქვემო ქედი -11 თებერვალი, 12;00 სთ**
**არხილოსკალო -11 თებერვალი, 13:30**
**ზემო ქედი -11 თებერვალი, 15: 00 სთ**
**სამრეკლო -18 თებერვალი, 12:00 სთ**
**ხორნაბუჯი -18 თებერვალი, 13:30 სთ**
**ჭოეთი -18 თებერვალი, 15:00**
**თავწყარო - 16 თებერვალი, 12:00 სთ**
**გამარჯვება -16 თებერვალი, 13:30 სთ**
**არბოშიკი -10 თებერვალი, 12;00 სთ**
**მირზაანი -10 თებერვალი, 13:30 სთ**
**ზემო მაჩხაანი -10 თებერვალი, 15:00**
**ოზაანი -16 თებერვალი, 15:00**

# შეზღუდვების შემსუბუქების მორიგი ეტაპი დაიწყო

***ბოლო 7 დღის დადებითობის საშუალო მაჩვენებელი შემცირდა 4%-მდე. შესაბამისად, შეზღუდვების ეტაპობრივი შემსუბუქება დაგეგმილზე ადრე იწყება.***

*8 თებერვლიდან - თბილისში, რუსთავში და ქუთაისში, ანუ უკვე მთელი საქართველოს მასშტაბით:

*აღდგება მუნიციპალური ტრანსპორტის მუშაობა (ავტობუსები, ე.წ სამარშრუტო ტაქსები, თბილისის მეტრო), გარდა შაბათ-კვირისა;

*გაიხსნება ღია და დახურული ბაზრობები (გარდა შაბათ-კვირისა).

*15 თებერვლიდან - თბილისში, რუსთავსა და ქუთაისში, ანუ უკვე მთელი საქართველოს მასშტაბით:

*სწავლა საკლასო ოთახებში გაგრძელდება (ამასთან, მშობლებს კვლავაც ექნებათ უფლება, სურვილის შემთხვევაში, აირჩიონ დისტანციური სწავლება);

*კვების ობიექტები ღია სივრცეებში სტუმრების მიღებას შეძლებენ (გარდა შაბათ-კვირისა) .

*მკაცრდება სანქცია პირბადის ტარების წესის დარღვევაზე და მეორედ დარღვევის შემთხვევაში ჯარიმა გაიზრდება.

*ორგანიზაციები და ბიზნესსუბიექტები, რომლებიც მიზანმიმართულად დაარღვევენ კანონს და შეზღუდვების პერიოდში განახორციელებენ აკრძალულ ეკონომიკურ საქმიანობას, ველარ ისარგებლებენ პანდემიის გამო დაწესებული შეღავათებით, სუბსიდირებითა და სხვადასხვა პროგრამით.

# „აკეთე, ის რაც გაბედნიერებს“...

***მედალს ორი მხარე აქვს. პანდემიისას მედლის ერთ მხარეს ის მოსახლეობა აღმოჩნდა, რომელსაც უხილავმა მტერმა ეკონომიკური კრიზისი და გაურკვეველი მომავლის შეგრძნება გაუჩინა, მეორე მხარეს კი ის ადამიანები გაჩნდნენ, ვისთვისაც ეს პანდემია გამოწვევად და ახალი იდეების გენერირების საშუალებად იქცა. პანდემიამ ახალგაზრდებში და არამარტო, ის იდეები გააჩინა, შემდგომ რომ საზოგადოებას კეთილ საქმედ გამოადგება და მათი მუდმივი ქაოსით ცხოვრების პირობებში სინათლის სხივის ფუნქციას იტვირთებს.***

ასეთი სინათლის სხივი დედოფლისწყაროელებისთვის 15 წლის ნიკა ნიკაშვილი აღმოჩნდა. მაშინ როდესაც პანდემია „ახლად იდგამდა ფეხს“, ნიკამ და მისმა ოჯახმა მთელი დედოფლისწყაროსთვის მნიშვნელოვანი და საჭირო პროექტი მოიგო. ეს პროექტი „ფლეშია“, რომელიც ოპერატიულად ემსახურება მომხმარებელს და სასურველი ადგილიდან (ეს იქნება კვების ობიექტი, საათფთიაქო ქსელები თუ სასურსათო მაღაზია) შემკვეთის მიერ დასახელებულ ადგილამდე მიაქვს პროდუქცია. ნიკა საკმაოდ კარგი რესპონდენტი აღმოჩნდა, გაგვეცნო, მისი საქმიანობისა და ახალი იდეის შესახებ გვესაუბრა, რაც გვინდა, რომ თქვენც გაგიზიაროთ და ახლოდან გაგაცნოთ ის:



-მე ვარ ნიკა ნიკაშვილი, ვცხოვრობ ქ.დედოფლისწყაროში, ვსწავლობ ამავე ქალაქის მე-2 საჯარო სკოლაში, მეათე კლასში. თავისუფალ დროს მიყვარს კომპიუტერი და ვიდეოთამაშები. მართალია, დღეს დღეობით ამისთვის ნაკლები დრო მრჩება, მაგრამ შესაძლებლობის შემთხვევაში, ჩემი დროის მცირე მონაკვეთს ვუთმობ ხოლმე. ადრე კალათბურთით ვიყავი დაკავებული, თუმცა გარკვეული პრობლემების გამო ველარ ვახერხებ დღემდე ამ სპორტით დაკავებას. თავიდან სამოყვარულო დონეზე დავდიოდი, შემდგომ გუნდშიც ვიყავი, შეჯიბრებებიც გვქონდა, თუმცა, სამწუხაროდ, გუნდი დაიშალა.

**პანდემიამ ნებისმიერ სფეროს თავისი კვალი დაამჩნია და ნებისმიერი ასაკის ადამიანს თავისებური „საზრუნავი“ გაუჩინა. რა იყო შენთვის ეს საზრუნავი, პრობლემა და როგორ გაუმკლავდი მას?**

-პრობლემად შემიძლია რეგულაციები დავასახელო. რეგულაციებმა არამარტო ყოფითი პრობლემები, დისკომფორტიც მოიტანა. კომენდანტის საათი კი განსაკუთრებულად მიზღუდავს თავისუფლებას, როგორც საქმიანობაში, ისე პირადად მეც. მართალია, მეგობრებთან შეხვედრას ვახერხებდი, ვკითხულობდით ერთმანეთს, დროის გარკვეულ ნაწილს ერთად ვატარებდით, მაგრამ მუდმივად ადამიანებთან ურთიერთობა, სკოლაში სიარული, სხვადასხვა ღონისძიებებზე თავისუფალი დასწრება - ეს ყველაფერი ძალიან დამაკლდა. რაც უნდა დაუჯერებლად ჟღერდეს, პლუსებიც ჰქონდა ამ ყველაფერს. ფაქტობრივად, ისე განვითარდა მოვლენები, რომ პანდემიის დასაწყისს ჩვენი პროექტი და უკვე „ფლეშის“ გამოჩენაც დაემთხვა, ამიტომ ბოლომდე ვერ ვიგრძენი ამ შეზღუდვების მთელი სიმძიმე და ხალხთან ურთიეთობის დეფიციტი. შედარებით შემოსავალიც გაგვეზარდა. უნდა ითქვას, რომ პანდემიას ჩემთვის დრო არ მოუპარავს.

**„ფლეში“ ახსენე. მოუყევი ჩვენს მკითხველს, შენი და შენი ოჯახის პროექტის შესახებ. რა არის და როგორ ეხმარება ის დღეს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას?**

-„ფლეში“ ეს არის ჩემი და ჩემი ოჯახის მიერ წამოწყებული ბიზნეს-პროექტი, რომელიც დედაჩემის და ჩემი დის დამსახურებით მოვიგეთ. ამ იდეისა და პროექტის განხორციელებაში დაგვეხმარა ევროკავშირი და ENPARD-ის პროგრამა. რაღაც სირთულეები იყო, მაგრამ საბოლოოდ მაინც გამოვიდა, სასურველ შედეგს მივაღწიეთ და გავიმარჯვეთ. ჩამოგვიყვანეს მოპედი. შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ მე ვყოფილიყავი ის, ვინც ივლიდა და შეასრულებდა საქმეს. თავიდან მეშინოდა, არ მინდოდა, არ ვიცოდი ხალხთან ურთიერთობა როგორ აეწყობოდა. მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაბელური ვარ და მიყვარს ხალხთან ურთიერთობა, მათთან საუბარი, უფრო იმაზე ვფიქრობდი, ხალხი ამას როგორ მიიღებდა, რას იფიქრებდა, მათი აზრი როგორი იქნებოდა. იქედან გამომდინარე, რომ ჩვენი საზოგადოება რთულად იღებს სიახლეებს, ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო, ცოტა რთულად მიიღეს. თავიდან ხალხს გაუჭირდა. ახლა ნელ-ნელა ითვისებენ. გავრცელდა უკვე ინფორმაცია, მირეკავენ ტელეფონზე, მიკვეთავენ აფთიაქიდან, მაღაზიიდან, კაფიდან, სხვადასხვა სახის პროდუქტს, შემდეგ ადგილზე მივდივარ და იხდიან საფასურს. თავიდან იდეა გვქონდა, რომ აპლიკაცია გაგვეკეთებინა, მაგრამ ვიფიქრეთ, რომ აპლიკაცია არ იმუშავებდა, რადგან ბევრი მოხუცია, რაიონში და გაუჭირდებოდათ დაკავშირება. ადვილი გამოსავალი უფრო ტელეფონის ნომრის მითითება აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ცოტა სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, ახლა ნელ-ნელა ახალი იდეები მიჩნდება, დაიმედებული ვარ და უფრო დადებითად ვუყურებ ბევრ რამეს. უფრო მეტი შემართებაც მაქვს, ვიდრე დასაწყისში მქონდა. თანაც ეს სერვისი პირველია ჩვენს მუნიციპალიტეტში და მაგიტომაც უფრო მეფიქრებოდა ბევრი რამ. წამოწყებაც უფრო რთული იყო. შიშის მიუხედავად, პროექტის დაწყებიდან მალევე ძალიან ბევრი პოზიტივი და დადებითი შეფასებები მივიღე ხალხისგან, ბევრი მაქებდა და ამან ძალიან კარგად იმოქმედა ჩემზე. უფრო გამბედავი გავხდი. მესიამოვნა, როდესაც ხალხმა ასე კარგად მიიღო ეს სიახლე. ყველა მეუბნებოდა, კარგია, როცა ამ ასაკში შენი საქმით ხარ დაკავებულიო. დახმარებას რაც შეეხება, ჩემი აზრით, ეს უპირველესად მუნიციპალიტეტის მოსახლეობას განვითარებაში ეხმარება. დროს იგებს, ენერგიას ზოგავს, ახალ წამოწყებებს ითვისებს, შეიძლება არ შეეძლოს გასვლა, თანხა ჰქონდეს, დროში შეზღუდული იყოს - ამ მხრივ სრულიად ეხმარება ეს მოსახლეობას. ამ ეტაპზე გარდა ქალაქ დედოფლისწყაროსა, სოფელ სამრეკლოსა და გამარჯვებას შეგვიძლია მოვემსახუროთ. ეს ის სოფლებია, რომლებიც ტერიტორიულად ახლოსაა ქალაქთან. სწავლას რაც შეეხება, რა თქმა უნდა, სწავლითაც ვარ დაკავებული, თუმცა ახლა დროის გადანაწილება მიწევს, რადგან სწავლის პარალელურად უნდა შევთავაზო ხალხს „ფლეშის“ მომსახურება. ახლა ყოველდღე მივდივარ სკოლაში და მასწავლებლებიც, დირექტორიც, ყველა გვერდში მიდგას. ჩემი საქმიანობა დიდად არ მიშლის ხელს იქ გაკვეთილების დასწრებასა და მასალის ათვისებაში. რაც დღის პირველ ნახევარში, მოხუცებისთვისთვის საკვების მიტანა დავიწყე, მხოლოდ მაშინ მჭირდება ხოლმე რამდენიმე წუთით გამოსვლა. ჩემი ოჯახიც გვერდში მიდგას და ყველანაირად მეხმარება, იმასაც მეუბნებიან რომ ვისწვალო და სწავლასაც მივაქციო ყურადღება.

**როგორც ახსენე, შენი ახალი წამოწყება მოხუცებისთვის საკვების სახლში უფასოდ მიტანაა. როგორ მოვიდა ეს იდეა, რა იყო ინსპირაციის წყარო?**

-ამ იდეის განხორციელება ორი კვირის წინ დავიწყე. მინდოდა, რომ უფრო საინტერესო და მეტად სოციალური გამხდარიყო ჩვენი საქმიანობა. სიახლის სურვილი ისევ ჩვენი გარემოდან, ხალხიდან წამოვიდა. იქედან გამომდინარე, რომ მე სულ სიარული მიწევს, ხშირად ვხედავდი მოხუცებს, რომლებსაც უჭირდათ ხელჯოხით პროდუქტების სახლში წაღება, გადაადგილება და ა.შ. ხშირად ვეხმარებოდი ქუჩაში ჩამომჯდარ მოხუცებს და ინსპირაცია და იდეაც სწორედ ასე გაჩნდა, რომ სახლში მათთვის უფასოდ მიმეტანა საკვები, სათნოების სახლიდან. ეს ის მოხუცები არიან, რომლებსაც ჩვენი დახმარება დღეს ყველაზე მეტად სჭირდებათ. რაც მთავარია, საბედნიეროდ, გამოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც დასჭირდათ ჩემი დახმარება. მე ამით ძალიან ბედნიერი ვარ, მიხარია, მაბედნიერებს ეს საქმიანობა, რომლითაც შემიძლია სხვას დავეხმარო. მთავარიც ესაა, რომ აკეთო ის რაც გაბედნიერებს.

**ცხოვრების ამ ეტაპზე, თინეიჯერობის ასაკში, რა არის შენი მთავარი მიზანი და რა გინდა მომავალში რომ გააკეთო?**

-ჩემთვის ამ ეტაპზე მთავარ მიზანს ამ საქმიანობის გაგრძელება და რაც შეიძლება მეტი კარგი იდეის რეალიზებაა. მინდა, ბევრი კარგი რამ გავაკეთო. მინდა, უფრო მეტ ადამიანს დავეხმარო და ვაგრძნობინო, ის, რომ არსებობენ



ადამიანები, რომლებსაც სიკეთის კეთება უხარიათ და ამის სურვილი აქვთ. სიკეთე კი ყოველთვის იმარჯვებს. პროფესიას რაც შეეხება, ამაზე, ჯერ ვერ ჩამოვყალიბდი. ოჯახი მეუბნება, რომ უკვე დროა ამაზე ვიფიქრო, მეგობრები მეუბნებიან, რომ ჯერ დრო კიდევ მაქვს. ვფიქრობ კალათბურთში დაბრუნებაზეც, ცოტა ხნის წინ კულინარიაც მიზიდავდა, ამ ბოლო დროს კი მიდრეკილება გამიჩნდა ადვოკატობისკენ, არ ვიცი ზუსტად რას ავირჩევ, მაგრამ ამ ეტაპზე მინდა, რომ ამ საქმიანობით ვიყო დაკავებული. შეიძლება ითქვას, რომ „ფლეში“ გახდა ჩემი ინსპირაციის, ახლანდელი და მომავალი ცხოვრების წყაროც.

**რას ეტყოდი შენს თანატოლებს? რა მთავარი რჩევები გაქვს მათთვის?**

-ჩემს თანატოლებს ვეტყოდი, რომ თუ სჭირდებათ დახმარება, თუ აქვთ შესაძლებლობა, რომ იმუშავონ, არასდროს დაიხიონ უკან. შეიძლება ბევრი დაბრკოლება შეხვდეთ, ხალხის აზრმა შეუშალოს ხელი საკუთარი მიზნების განხორციელებაში, თავიდან მეც ასე ვიყავი, მაგრამ ეს დაბრკოლებები უნდა გადალახონ. ყველაზე მთავარი ეს არის. თუ გულით უნდათ რამის კეთება, აუცილებლად უნდა გააკეთონ. თქვენი გაზეთის დახმარებით კი, მადლობას ვეტყვი ჩემს ოჯახს, ამ საქმიანობის წამოწყების გამო, იმისთვის, რომ მითხრეს და მიმახვედრეს თუ რატომ უნდა მოვკიდებოდი ამ კარგ საქმეს. მათ სწორი აზროვნება ჩამომიყალიბეს. არამარტო მშობლებს, ჩემს დასაც მადლობა ამისთვის.

**პ.ს გაზეთი „შირაქი“ გვერდში უდგას ყოველ ასეთ წამოწყებას და მუდმივად ეხმაურება ყველა იმ ახალ პროექტსა თუ იდეას, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ ნიკა ჩვეულებრივ რეჟიმში ღამის 12-მდე ემსახურებოდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, ამ ეტაპზე, კომენდანტის საათის გამო, საღამოს 9-ის ნახევრამდე შეუძლია დაგეხმაროთ. მისივე ნებართვით, გთავაზობთ „ფლეშის“ ნომერს: 598634634. შეგიძლიათ ნებისმიერ დროს დაუკავშირდეთ და მიიღოთ ის მომსახურება, რომელიც საჭიროსთან ერთად, სასარგებლოცაა და ჩვენი, ყველას კომფორტსა და განვითარებას უწყობს ხელს!**

**ესაუბრა**
ქუქუნა ყანჩაშვილი

# ზემო მაჩხაანში ახალი სკოლა გაიხსნა

*/პირველი გვერდიდან/*

სკოლები ყველა ღონეს ხმარობენ საიმისოდ, რომ ჩვენი შვილები უსაფრთხოდ იყვნენ და არ მოხდეს დაინფიცირება.

ბოლო ორ წელში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სკოლების დიდი ნაწილის განახლება მოხერხდა. ჯამში 7 სკოლა განახლდა, გარემონტდა და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვიდა. ასევე, ამჟამად მასშტაბური რეაბილიტაცია მიმდინარეობს სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლის შენობაში, რომელიც თითქმის ხელახლა შენდება. უახლოეს ხანში ისინიც შეძლებენ საუკეთესო გარემო ჰქონდეთ. ეტაპობრივად ვცდილობთ ყველგან გავაუმჯობესოთ და კეთილმოვაწყოთ სასკოლო ინფრასტრუქტურა. დარწმუნებული ვარ, სულ მალე მუნიციპალიტეტის ყველა სკოლაში იქნება ისეთივე კარგი გარემო პირობები, როგორიც ზემო მაჩხაანის სკოლას აქვს.

ამ ეტაპზე, ხელოვნების სკოლასა და საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესის დაწყება ჯერჯერობით გადაიდო და დაკვირვების რეჟიმში ვიქნებით. ეპიდვითარებიდან გამომდინარე რამდენიმე კვირაში გაიხსნება".

ეთერ დავითაშვილი - **(საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი)**: „ეს 5 წელი ძალიან დიდი სირთულის წლები იყო. როგორც კი სკოლა დაიწვა, დედოფლისწყაროს მერის დახმარებით და ჩართულობით მოხერხდა კულტურის სახლში 4 საკლასო ოთახი მოწყობილიყო და საგაკვეთილო პროცესი დაგვეწყო. ასევე მირზაანსა და ძველ შენობაში სულ სამ ლოკაციაზე მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. ასე სწავლება კი რთული იყო, მაგრამ ჩვენმა პედაგოგებმა დიდი შრომის ფასად მაინც შეძლეს. პირობების სირთულის მიუხედავად ბოლო წლებში უამრავი წარმატება ჰქონდა მაჩხაანის საჯარო სკოლას. საუკეთესოდ აღზარდეს მოსწავლეები. უამრავი ღონისძიება შედგა, არაერთი მიღწევა გვაჩვენეს. მთავარი ისაა, რომ სიძნელეები წარსულში დარჩა, ყველაფერი კეთილად დამთავრდა და დღეს მაღალი სტანდარტის სასწავლო კორპუსი გვაქვს. ხშირად ჩამოვდიოდი და ვხედავდი, რა პირობებში უხდებოდათ ჩემს კოლეგებს მუშაობა. ისინი არასოდეს წუწუნებდნენ ამ სირთულეებზე, უზარმაზარი შემართება იგრძნობოდა და მართლაც გმირულად იღწვოდნენ. დღესაც, როცა ახალი შენობა დასრულდა, უამრავი საქმე იყო გასაკეთებელი კლასების მოწყობა-დალაგება, თუ ეზოს კეთილმოწყობა და ყველაფერ ამაში მათი შრომაა ჩადებული. დღეისთვის ყველაფერი საუკეთესოდაა მოწესრიგებული. თითოეულ მათგანს, მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს მინდა მივულოცო ახალი სასწავლო სემესტრის დაწყება ამ შესანიშნავ გარემოში. ვულოცავ სოფელს, რაიონს ამ სასიკეთო სიახლეს. მინდა, მადლობა გადავუხადო საქართველოს მთავრობას, განათლების სამინისტროს, ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, რომლებმაც წელიწადნახევარში დაასრულეს ამხელა მასშტაბის სკოლის მშენებლობა".





დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს დაპირდა, რომ მას შემდეგ, რაც დემონტაჟის სამუშაოები დასრულდება, ეზო გაიწმინდება და მძიმე ტექნიკა სკოლიდან საბოლოოდ გავა, რამდენიმე თვეში მათ სკოლამდე მისასვლელ ახალ გზას მუნიციპალიტეტის მერია დაუფინანსებს და ამ ქუჩაზე ასფალტს დააგებენ.

## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება №46

### დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2021 წლის საგაზაფხულო გაწვევის კომისიის შექმნისა და მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონი- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ „საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, მეორე პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად და „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2021 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 იანვრის №39 დადგენილების საფუძველზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით,

**ვბრძანებ:**

1. შეიქმნას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2021 წლის საგაზაფხულო გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

**ნიკოლოზ ჯანიაშვილი** - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, კომისიის თავმჯდომარე;

**მამუკა ალადაშვილი** - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

**მალხაზ მერაბიშვილი** - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის წევრი;

**ირინა ზელენსკაია** - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

**იოსებ ბუთხუზი** - შსს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

**ზვიადი ჯავაშვილი** - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი, კომისიის წევრი.

2. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევა განხორციელდეს 2021 წლის 1 თებერვლიდან 2021 წლის 30 ივნისამდე.

3. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, არა აქვთ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება.

4. 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში რეგისტრაციის/ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, ჰ. გონაშვილის ქ. №6.

5. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ვალდებულნი არიან, გაწვევის დღისათვის გამოცხადდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურში.(ქ. დედოფლისწყარო, ჰ. გონაშვილის ქ. №6.)

6. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებელის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

7. ეთხოვოს შსს დედოფლისწყაროს რაიონულ სამმართველოს, აღმოუჩინოს დახმარება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურს იმ წვევამდელთა მოძებნასა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც არ იძებნებიან ან სავარაუდოდ, თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

8. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2021 წლის საგაზაფხულო გაწვევის კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ან თუ კომისიის თავმჯდომარეს დროებით არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

9. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „შირაქში".

10. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე და გავრცელდეს 2021 წლის 01 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

11. ძალადაკარგულად გამოცხადდეს: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 4 აგვისტოს №452 ბრძანება „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2020 წლის საშემოდგომო გაწვევის კომისიის შექმნისა და მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ".

12. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი. ცოტნე დადიანის ქ. №15). ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი**

# საქართველოს საგარეო და საშინაო ვალი რიცხვებში

***პანდემიით და უკიდურესი გაჭირვებით გამწარებული მოსახლეობა ყოველდღიურად ტელეეკრანებიდან თუ სხვა საინფორმაციო წყაროებიდან ისმენს როგორ იზრდება დღითი-დღე საქართველოს შიდა თუ გარე ვალი.***

შეიძლება ბევრ ქვეყანას ვალი უფრო მეტი აქვს, ვიდრე საქართველოს, მაგრამ ისინი ევროკავშირის ქვეყნები არიან და ბევრი სხვა კრიტერიუმი უმყარებს ზურგს. მაგალითად, აშშ-ს ვალი მშპ-სთან მიმართებაში 100 პროცენტზე მეტია, მაგრამ ეს ამ ქვეყნისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მაღალ ვალს უნდა ვესწრაფოდეთ. სავალუტო ფონდი განგაშს ტეხს და ამბობს, რომ ეს არის საქართველოს ეკონომიკის მთავარი გამოწვევა.

ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკისადმი და მოსახლეობისადმი ვალის ტვირთის საზომად მშპ (მთლიანი შიდა პროდუქტი)-თან ვალის ფარდობის მაჩვენებელი გამოიყენება, რადგან რაც უფრო დიდია ქვეყნის ეკონომიკა, მით მეტ ვალს შეუძლია მოემსახუროს. განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისთვის მიჩნეულია, რომ მშპ-ის მიმართ 60%-ზე მეტი ვალი საფრთხეა ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობისთვის, რადგან ამცირებს ქვეყნის ფისკალურ მდგრადობას და გადახდისუნარიანობას. რაც მეტი აქვს ქვეყანას ვალი, მით უფრო სუსტია მომავალში მოსალოდნელ შოკებთან გასამკლავებლად.

ცხადია, როცა ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია, ბიუჯეტში შემოსავლები მცირდება. შესაბამისად, მთავრობას აღარ აქვს შესაძლებლობა, რომ თავისი ხარჯვითი ნაწილი დაფაროს. სწორედ ამიტომ, მთავრობა იღებს ახალ ვალს.

სახელმწიფოს ვალის აღების ორი შესაძლებლობა აქვს. მას შეუძლია ფული ისესხოს საერთაშორისო ორგანიზაციებისგან ან რომელიმე ქვეყნისგან. გარდა ამისა, მთავრობას შეუძლია საგარეო ვალთან ერთად შიდა ვალიც აიღოს. მაგალითად, 2020 წელს საქართველოს მთავრობა აქტიურად ატარებდა სახაზინო აუქციონებს, სადაც ყიდდა ფასიან ქაღალდებს, ანუ კერძო სექტორისგან სესხულობდა ფულს. საბოლოოდ, საგარეო თუ შიდა ვალის აღება დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მთავრობის მხრიდან გადაწყვეტილების მიღებას.

თუ ჩვენ უკანასკნელი წლების მონაცემებს ავიღებთ 2016 წლიდან 2019 წლამდე ვალის მოცულობა მთლიან შიდა პროდუქტთან დაახლოებით 41%-იან ნიშნულს სტაბილურად ინარჩუნებდა. უფრო კონკრეტულად, 2016 წელს სახელმწიფო ვალის მოცულობა 14,450 მლრდ ლარი იყო, 2017 წელს 16,283, მლრდ ლარი, 2018 წელს 17,795 მლრდ ლარი, ხოლო 2019 წელს სახელმწიფო ვალის მოცულობამ 20,622 მლრდ ლარი შეადგინა. თუმცა უკვე 2020 წელს კოვიდ კრიზისმა ჩვენს ეკონომიკას მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა. შესაბამისად, ბიუჯეტის დეფიციტმა 2020 წლის 10 თვეში 3 მილიარდი ლარი შეადგინა, რის გამოც დამატებითი ვალი ავიღეთ. უახლესი სტატისტიკის მიხედვით, 2020 წელს საქართველოს სახელმწიფო ვალი 30,648 მილიარდ ლარს შეადგენს, საიდანაც 6 მილიარდ ლარამდე შიდა ვალია, ხოლოდ 24,600 მილიარდი ლარი - საგარეო. ამ ყველაფერს ასევე ემატება ლარის გაუფასურება. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ლარი დოლართან 10%-ით გაუფასურდა. ლარის გაუფასურება ნიშნავს გაზრდილ საგარეო ვალს. ცხადია, როცა ქვეყანა საგარეო ვალს იღებს, ის უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული. შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში აღებული სესხის გასტუმრება, ისევ უცხოური ვალუტით გვიწევს. ხოლო მაშინ, როცა ლარი უფასურდება, ვალის ტვირთი უფრო მეტად გვეზრდება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, ლარის კურსის გაუფასურების გამო 2020 წლის 8 თვეში მთავრობის ვალი დაახლოებით 1.8 მილიარდი ლარით გაიზარდა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობის მიერ შექმნილი დოვლათის უფრო დიდი წილი წავა ვალების მომსახურებაში და არა ქვეყნის განვითარებაში.

#### საგარეო ვალი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უახლესი სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი 24 მილიარდ 600 მილიონ ლარს შეადგენს. ვალის 32.6% დოლარშია დენომინირებული, 30,7% ევროში, ხოლო 32.8% არის სავალუტო ფონდის მიერ გამოშვებულ სარეზერვო აქტივი(SDR). მისი ღირებულება გამოითვლება 5 ვალუტის კალათისგან, ესენია დოლარი, ევრო, ჩინური რენმინბი, იაპონური იენი და ბრიტანული გირვანქა.

კრედიტორების მიხედვით საგარეოს ვალის 68.4% მარავალმხრივ კრედიტორებზე მოდის, 18.5% კი ორმხრივ კრედიტორებზე. რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ვალის 52% ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთია, ხოლო 48% ცვალებადი.

#### საშინაო ვალი

თუ ჩვენ ვალის სტრუქტურას ჩავხედავთ, დავინახავთ, მთლიანი საშინაო ვალდებულებების 91.5% სახაზინო ვალდებულებებსა და ობლიგაციებზე მოდის. დანარჩენი 8.5% კი ეროვნული ბანკის მიმართ სახელმწიფოს ვალს ასახავს. რაც შეეხება ფასიანი ქაღალდების პორტფელს, მათი 39.2% წარმოადგენს 5-წლიანი ვადიანობის ფასიან ქაღალდებს, 27.8% 2-წლიანიანი ვადიანობის ფასიან ქაღალდებს, 12.8-12.8%-ია 12-თვიანი და ათწლიანი ვადიანობის ქაღალდები, ხოლო 6-თვიან ფასიან ქაღალდებს მთლიან საშინაო ვალდებულებებში 7.4% უჭირავს. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 9.1%-ია. გარდა ამისა, გამოშვებული სახაზინო ვალდებულებების მფლობელებს შორის 86.5% არის საქართველოს მოქალაქე, დანარჩენი 13.7% კი არარეზიდენტი.




#### როგორ ხდება ვალის მომსახურება

ვალის მომსახურების გრაფა შეგვიძლია რამდენიმე მიმართულებად დავყოთ. არსებობს დაუყონებლივ გადასახდელი ვალების გრაფა, რომლის დაფარვაც პირველ რიგში უნდა მოხდეს. შემდეგ მოდის ერთ წლის განმავლობაში დასაფარი ვალის გეგმა, რომელიც იყოფა კვარტალებად. მაგალითად, საქართველომ 2020 წლის პირველ კვარტალში სულ 1,067.8 მლნ დოლარი გადაიხადა საგარეო ვალებში, მეორე კვარტალში 972.5 მლნ დოლარი მესამე კვარტალში 902.3 მლნ დოლარი, ხოლო წლის ბოლოს 1,606.6 მლნ დოლარი.

რაც შეეხება ამ წელს, საქართველოს მთავრობა გეგმავს, რომ სახელმწიფო ვალი GDP-ის 60%-ზე ქვემოთ ჩამოვიდეს. 2021 წელს მთავრობა 1,088.9 მლრდ დოლარის საგარეო ვალს დაფარვას გეგმავს, საშინაო ვალის კი 1,448 მლრდ ლარის. ერთ თვეში საქართველოს საგარეო ვალი 271.3 მლნ დოლარით გაიზარდა

2020 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, ვალის მოცულობამ 7,263 მლრდ დოლარი შეადგინა (24,087 მლრდ ლარი) ეს კი 271,3 მლნ დოლარით მეტია წინა თვესთან შედარებით. ოქტომბრის მდგომარეობით, სახელმწიფო საგარეო ვალი 6,991 მლრდ დოლარს შადგენდა. აღსანიშნავია, რომ 7,263 მლრდ დოლარიდან, მთავრობის საგარეო ვალი შეადგენს 7,005 მლრდ დოლარს, ხოლო ეროვნული ბანკის ვალი - 257,4 მლნ დოლარს.

**საქართველოს სახელმწიფოს ყველაზე მსხვილი კრედიტორები არიან: აზიის განვითარების ბანკი (ADB); მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA) და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD).**

კერძოდ, IDA-ს მიმართ ვალი 919,060 მლნ დოლარია; IBRD-ის მიმართ სახელმწიფოს საგარეო ვალი 1,092 ლრდ დოლარია, აზიის განვითარების ბანკის (ADB)-ის მიმართ კი - 1,415 მლრდ დოლარს აჭარბებს.

რაც შეეხება ორმხრივ კრედიტორებს, აქ საქართველოს ყველაზე დიდი ვალი გერმანიის მიმართ აქვს - 720, 069 მლნ დოლარი, მეორე ადგილზეა საფრანგეთი - 571, 145 მლნ დოლარის ვალის მოცულობით. სამეულში შედის იაპონიას, რომლის მიმართს ქვეყანას 218,488 მლნ დოლარის დავალიანება აქვს. მთალიანად სახელმწიფოს ორმხრივი კრედიტორების მიმართ 1,634 მლრდ დოლარის ვალი აქვს.

**შეეძლო თუ არა მთავრობას ნაკლები ვალის აღება?** შეეძლო და ეს უნდა გაეკეთებინა ნაკლები შიდა ვალის აღებით. გარდა ამისა, მთავრობას შეეძლო, ბიუჯეტში მეტი დანაზოგი გაეკეთებინა და აქედან გამომდინარე დასჭირდებოდა ნაკლები საშინაო ვალის აღება. ფაქტობრივად, სახელმწიფო ბიუჯეტში 547 მლნ ლარის დანაზოგი ბუნებრივად გაკეთდა. ანუ დაიზოგა იმ პროგრამისა და პროექტების თანხა, რომელთა განხორციელებასაც ხელი პანდემიამ შეუშალა. ესენია: ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები.

ეკონომისტთა განმარტებით, "მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საგარეო ვალი თეორიული თვალსაზრისით, არც ისე დიდია, შეშფოთების საფუძველს ქმნის მისი ზრდის ტემპები. საბოლოო ჯამში, საქართველო სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას, მიუხედავად თვითშეზღუდვისა, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით განისაზღვრება და რომლის თანახმადაც სახელმწიფო ვალმა მშპ-ს 60%-ს არ უნდა გადააჭარბოს, ბოლო წლებში ვალის ზრდის ტემპი მშპ-ს ზრდის ტემპს აჭარბებს, რამაც ხელისუფლება „ქამრების შემოჭერის" და ვალების თუნდაც გაყინვის გადაწყვეტილებამდე უნდა მიიყვანოს. მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ მინიმუმამდე შეამციროს ბიუჯეტის დეფიციტი, როგორც საგარეო ვალების წარმოქმნის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი.

**მოამზადა**
ხათუნა ბენაშვილმა

# როგორია საქართველოს 2021 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზები

2020 წელი რომ მსოფლიო ეკონომიკისთვის და მათ შორის საქართველოსთვისაც საკმაოდ მძიმე იყო, ამაზე ფაქტობრივად, ყველა თანხმდება.

მაგალითად, მსოფლიო ბანკის პროგნოზით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6%-ით შემცირდა. შემცირებულმა ეკონომიკამ კი ქვეყანაში უმუშევრობის ზრდა გამოიწვია, კერძოდ, გასულ წელს უმუშევრად დარჩენილი ადამიანების რაოდენობამ 100 ათასს გადააჭარბა.აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნისთვის არც 2021 წლის დასაწყისი ყოფილა საიმედო, რადგან ეკონომიკა ფაქტობრივად, ისევ გაჩერებულია, ხოლო მისი აღდგენა ეტაპობრივად თებერვლიდან დაიწყება. შექმნილი გარემოების ფონზე კი საინტერესოა, თუ ეკონომიკური ზრდის რა პროგნოზი აქვთ სხვადასხვა ორგანიზაციებს და სამთავრობო უწყებებს 2021 წელს. საქართველოს მთავრობის პროგნოზით, 2021 წელს ეკონომიკა საშუალოდ 4.3%-ით გაიზრდება. სწორედ 4.3%-იანი ზრდაა ჩადებული მიმდინარე წლის ბიუჯეტშიც. მთავრობისგან განსხვავებული პროგნოზი აქვს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს, რომელიც საქართველოს ეკონომიკის 5.2%-იან ზრდას ვარაუდობს. საქართველოს ეროვნული ბანკის პროგნოზით კი, რომელიც 2020 წის ნოემბერში გამოქვეყნდა, ქვეყნის ეკონომიკა წელს 5,5%-ით გაიზრდება.

რაც შეეხება სხვადასხვა კვლევით ორგანიზაციებს, თიბისი კაპიტალის პროგნოზით, 2021 წელს ეკონომიკური ზრდა 4.6%-ის ფარგლებში იქნება, ხოლო საინვესტიციო კომპანია ჩალტ ანდ თაგგარტ-ის პროგნოზით, წელს საქართველოს ეკონომიკა 5% დან 5.5%-ის ფარგლებში გაიზრდება. რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციებს, მსოფლიო ბანკის პროგნოზით წელს საქართველოს ეკონომიკის მხოლოდ 4%-იან ზრდას უნდა ველოდოთ. შედარებით განსხვავებულია სავალუტო ფონდის პროგნოზი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის 4.3%-იან ზრდას ვარაუდობს.




# საქსტატი: იანვარში წლიური ინფლაციის დონემ 2.8% შეადგინა

2021 წლის იანვარში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 1.1 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 2.8 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2021 წლის იანვარში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 5.7 პროცენტით განისაზღვრა. ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს. სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები გაიზარდა 2 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე 0.63 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (6.1 პროცენტი), ხილი და ყურძენი (4.4 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (4.3 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (4.0 პროცენტი), თევზეული (1.1 პროცენტი); ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა 1.4 პროცენტით, რაც 0.18 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიან ინდექსზე. ფასები გაიზარდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (2.0 პროცენტი); საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 1.9 პროცენტიანი მატება, რაც 0.17 პროცენტული პუნქტით აისახა თვის ინფლაციაზე. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: წყალმომარაგება და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურება (4.3 პროცენტი) და ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები (2.1 პროცენტი). „წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 6.4 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 2.06 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ზეთი და ცხიმი (27.3 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (12.6 პროცენტი), თევზეული (10.4 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (9.1 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (8.9 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (7.5 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (5.6 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირებულია ხილსა და ყურძენზე (-3.2 პროცენტი);

ჯანმრთელობის დაცვა: ჯგუფში ფასები მომატებულია 9.7 პროცენტით, რაც 0.76 პროცენტული პუნქტით აისახა წლიურ ინდექსზე. ფასები გაიზარდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობის (14.0 პროცენტი) და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების (11.9 პროცენტი) ქვეჯგუფებზე; ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 10.8 პროცენტიანი მატება, რაც წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.61 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: საოჯახო საფეიქრო ნაწარმი (26.7 პროცენტი), მინის ჭურჭელი, მაგიდის და საოჯახო ჭურჭელი (12.5 პროცენტი), ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საჭიროების საქონელი და მომსახურება (12.2 პროცენტი), ავეჯი, საოჯახო ნივთები, ხალიჩები და სხვა იატაკის საფარი და რემონტი (9.7 პროცენტი), ინსტრუმენტები, მოწყობილობა და ტექნიკა სახლისა და ბაღისთვის (9.6 პროცენტი), გამათბობელი და საჭმლის მოსამზადებელი მოწყობილობა, მაცივრები, საყინულეები, სარეცხი მანქანები და სხვა საყოფაცხოვრებო საგნები, დაყენებისა და რემონტის ჩათვლით (7.1 პროცენტი); ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 6.9 პროცენტიანი მატება. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიურ ინდექსში 0.45 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაიზარდა როგორც თამბაქოს ნაწარმზე (9.1 პროცენტი), ასევე ალკოჰოლურ სასმელებზე (5.2 პროცენტი); საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 20.5 პროცენტიანი კლება, რაც -1.77 პროცენტული პუნქტით აისახა წლიურ ინფლაციაზე. ფასები შემცირდა ქვეჯგუფებზე: წყალმომარაგება და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურება (-33.8 პროცენტი) და ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები (-28.9 პროცენტი),"-აღიშნულია „საქსტატის" ინფორმაციაში.

# ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ - ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲓᲐᲠᲘ

***კოვიდპანდემიისა და სავალდებულო შეზღუდვების პირობებში ფიზიკურმა აქტივობამ და ჯანსაღი ცხოვრების წესმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. სწორი ფიზიკური აქტივობა ადამიანს ეხმარება ისეთი დაავადებების თავიდან აცილებაში, როგორიცაა: სიმსუქნე, დიაბეტი, სიმსივნე, მაღალი არტერიული წნევა და ზოგად ფსიქოლოგიურ მდგომარეობასაც აუმჯობესებს.***

ახალგაზრდებისთვის სპორტი, გარდა ჯანმრთელობისა, არის მეგობრების შეძენის, თანატოლებთან ურთიერთობის, ჯგუფურ აქტივობებში ჩართვისა და საჯარო აღიარების მოპოვების შესაძლებლობა. ფიზიკური აქტივობა ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, გარდა იმისა, რომ წარმოადგენს ჯანმრთელობის წინა პირობას, ასევე შეუძლია უამრავი სასიკეთო რამ მოიტანოს. **„ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია”** - ეს ფრაზა ყველასთვის ცნობილია და თუ გვინდა, რომ გვქონდეს როგორც ჯანსაღი სხეული, ასევე სულიც, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ და გავითავისოთ, რომ სპორტი ამისათვის არის ის პირველი საშუალება, რომელიც დაგვეხმარება ჩვენი მიზნის მიღწევაში. ფიზიკური აქტივობა ადამიანში უამრავ დადებით რეაქციას იწვევს. მაგალითად: აძლიერებს იმუნიტეტს, ავითარებს ტვინის უჯრედებს და ა.შ სპორტი ახალგაზრდას აშორებს ქუჩას და მას პერსპექტიული მომავალის საშუალებას აძლევს. ასევე სპორტით დაკავებული ადამიანი უარს ამბობს ისეთ მავნე ჩვევებზე, როგორიცაა ალკოჰოლი, სიგარეტი და ნარკოტიკი. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმეტესი ნაწილისთვის რეაბილიტირებული ცენტრალური სტადიონის ტერიტორია ერთგვარი ხსნა აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც დედოფლისწყაროს ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციის პროექტი,დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრის დირექტორის ᲐᲙᲐᲙᲘ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ იდეის საფუძველზე ,მუნიციპალიტეტის მერიამ და „***ENPARD-2***“ ერთობლივად განახორციელა, აშენდა კალათბურთის სტადიონი, დამონტაჟდა სპორტული ტრენაჟორები, ასევე სრულიად განახლდა სტადიონის ადმინისტრაციული შენობა, მათ შორის, მოეწყო სველი წერტილები და სხვა. დღის ნებისმიერ მომენტში სტადიონზე შეხვდებით აქტიური ფიზიკური ვარჯიშით დაკავებულ ნებისმიერი ასაკის ადამიანს. ჩვენთვის საინტერესოა მათი მოსაზრება განახლებული ცენტრალური სტადიონის შესახებ. გავესაუბრეთ რამდენიმე მათგანს:

***ქეთევან თითილოკაშვილი:*** „ძალიან კმაყოფილი ვარ სტადიონის განახლებული იერით. კარგია რომ მოეწყო კალათბურთის და ფრენბურთის მოედანი, შეიცვალა იერ-სახე, მოეწყო ტრენაჟორების კუთხე, ბავშვებისთვის მოეწყო ატრაქციონები. სიამოვნებით გამოვდივართ სავარჯიშოდ და მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. რაც ძალიან გვაწუხებს, ეს არის ძაღლების პრობლემა, იმედია ესეც მოგვარდება“.



***ირმა ბადრიშვილი*** : „კმაყოფილი ვარ, რომ გვაქვს საშუალება დავკავდეთ ფიზიკური აქტივობით განახლებულ ცენტრალურ სტადიონზე. განათება კარგად გვეხმარება, რომ გადატვირთული სამუშაო გრაფიკის შემდეგ შევძლოთ სტადიონზე ვარჯიში და განტვირთვა“.

***ზაქრო ჭუაძე,*** N1 ***საჯარო სკოლის მოსწავლე:*** „რამდენიმე თვეა, დავიწყეთ აქტიური თამაში ფრენბურთის მოედანზე და მოხარულები ვართ, რომ ასე კარგად გაკეთდა სტადიონი, მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა. ერთი თხოვნა გვაქვს, მინი სტადიონის ერთი მხარეა მხოლოდ განათებული და თამაშის დროს თვალს ჭრის. თუ ორივე მხრიდან თანაბრად გადანაწილდება განათება, მაშინ გვექნება სრულფასოვანი თამაშის საშუალება. იმედია, მოგვარდება ეს პრობლემა და დაემატება ერთი განათების წერტილიც. მოედნის დახაზვა გვინდა და ზურა მასწავლებელი შეგვპირდა, რომ დაგვეხმარება და გაზაფხულზე დავხაზავთ ფრენბურთის მოედნის ზოლებს (კალათბურთისა დახაზულია).თავიდან რომ მოვდიოდით, 10-12 კაცი ვიყავით, მერე ბევრი მსურველი გამოჩნდა და შემოგვემატნენ. მიხარია, რომ ბევრი ახალგაზრდა მისდევს აქტიური ცხოვრების წესს და ნებისმიერ ამინდში აქ ხალხმრავლობაა. კარგი იქნება, თუ ბალახის საფარიც მოწესრიგდება. ვინც დარბის ან სპორტული სიარულითაა დაკავებული, წვიმიან ამინდში ატალახებულ ბილიკებზე პრობლემა ექმნებათ. ცენტრალური სტადიონი რეაბილიტაციის შემდეგ საზოგადოების შეკრების ცენტრად იქცა. ზაფხულში, როდესაც სცალიათ მოსწავლეებს, უფრო მეტი ხალხმრავლობაა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ აბიტურიენტები ვართ და საკმაოდ გადატვირთული გრაფიკი გვაქვს, როგორც კი გამოვნახავთ დროს, აქ მოვდივართ. სკოლამაც ხელი შეგვიწყო, მასწავლებლებს დილით დავანიშნინეთ გაკვეთილები, რომ გვქონდეს თავისუფალი დრო და დავკავდეთ ფიზიკური აქტივობით. და კიდევ ვცდილობთ მაქსიმალურად დავიცვათ წესრიგი. მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეების ინიციატივით დასუფთავდა ტერიტორია. ჩვენ თავს ვალდებულად მივიჩნევთ, რომ ვიზრუნოთ ცენტრალური სტადიონის ტერიტორიის სისუფთავეზე“.



***მზია ხატიაშვილი***: „ძალიან კარგი და სასიამოვნო გარემოა. ამას წინათ თელავში ვნახე მიტოვებული სტადიონი და ვიფიქრე, დიდი ბედნიერებაა, რომ ჩვენ გვაქვს ასეთი ლამაზად მოწყობილი სტადიონი თავისი მოედნებით, ტრენაჟორებით და ბავშვთა გასართობი ატრაქციონებით. რამდენად დიდი სიკეთეა ჩვენი ახალგაზრდებისთვის, დაკავდნენ ეს ბავშვები. კარგია მათი ჯანმრთელობისთვის და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვისთვის. გონივრულად იყენებენ თავისუფალ დროს. ამ პანდემიამ, რომელმაც ყველას ჯანმრთელობას, მეტ-ნაკლებად, დაღი დაასვა, ეს სტადიონი ამ ყველაფრის ფონზე, ერთგვარი ხსნაა. მოვალთ ამ სასიამოვნო გარემოში, ვივლით და გავიუმჯობესებთ ჯანმრთელობას. დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ რაიონის ხელმძღვანელობას ამ ყველაფრისთვის. ადრე სულ ჩაბნელებული, მიუვალი და საშიში იყო აქაურობა. ახლა განათდა, მოწესრიგდა, გამწვანდა, გალამაზდა და ეს ყველაფერი, გარდა იმისა, რომ გულს ახარებს, ჩვენი ჯანმრთელობისთვისაც ძალიან კარგია“.

***ლუიზა ნასყიდაშვილი:*** „დიდი ხანია, ამ უბანში ვცხოვრობ. ეს სტადიონი ასეთი კეთილმოწყობილი არასოდეს მინახავს. მივესალმები ყველაფერ ამას. ეს ბავშვები, ახლა კალათბურთს რომ თამაშობენ, იქნებოდნენ ახლა ქუჩაში და არ არის გამორიცხული, გზას ასცდენოდნენ ნებისმიერ დროს. ყოველ საღამოს აქ იკრიბებიან და ბურთს თამაშობენ, უხარიათ და ჯანმრთელი ცხოვრების წესს მისდევენ. ბაღის ასაკის ბავშვები ხშირად მოჰყავთ მშობლებს, ერთობიან პატარები ატრაქციონებზე.კმაყოფილები ვართ განათებით. რაიონის ხელმძღვანელობა გვპირდება, რომ კიდევ უფრო კეთილმოვაწყობთ და გავაუმჯობესებთ პირობებსო.მეც, როგორც ამ უბნის ერთ-ერთი წარმომადგენელი, დავდივარ აქ და მადლობელი ვარ ამ სიკეთის“.

***ლალი ზურაშვილი:*** „სტადიონზე დავდივარ 2011 წლიდან და მომსწრე ვარ, როგორ შეიცვალა ყველაფერი უკეთესობისკენ. აშენდა, დაიხვეწა და გალამაზდა აქ ყველაფერი. დიდი სურვილი მაქვს კიდევ უფრო მეტი გაკეთდეს, ძალიან უხდება ჩვენს რაიონს. მადლობა რაიონის ხელმძღვანელობას და აკაკი ნატროშვილს ამ დიდი სიკეთისთვის. ადრე თუ თითო-ოროლა ადამიანს ვხედავდით, ახლა ყველა ასაკის თანამოქალაქეს შეხვდებით აქ. ბევრი ადამიანი შემოდის და კავდება სხვადასხვა ფიზიკური აქტივობებით. ძალიან გვიხარია, რომ არის განათება, ყველას აძლევს სტიმულს, რომ იარონ სტადიონზე. ჩვენი თხოვნაა, მოწესრიგდეს სარბენი ბილიკები, რომ უამინდობის დროს აღარ შეგვექმნას პრობლემა. და რაც ყველაზე მტკივნეულია - ეს ძაღლებთან დაკავშირებული საკითხია. იქნებ მიიღონ რაიმე ზომა, რაც მოაგვარებს ამ პრობლემას“.



ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲘᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ ᲐᲜ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲐ, ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲕᲐᲡ, ᲘᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲔᲑᲐ - ᲤᲔᲮᲘᲗ, ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲘᲗ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘ, ᲑᲐᲦᲨᲘ, ᲑᲝᲡᲢᲐᲜᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ. ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲒᲕᲐᲠᲘᲓᲝᲡ ᲓᲔᲞᲠᲔᲡᲘᲐ, ᲒᲐᲒᲕᲘᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲝᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲩᲥᲐᲠᲝᲡ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲔᲑᲐᲪ ᲙᲘ. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲘᲛᲔᲓᲘᲐ, ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲡᲐᲪ ᲒᲣᲚᲘᲡᲧᲣᲠᲘᲗ ᲛᲝᲔᲙᲘᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲡ. ᲠᲐᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲘᲖᲘᲐᲠᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐᲡ, ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘᲗ.

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲑᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

# პრევენცია სიცოცხლის დაზღვევას ნიშნავს

***კიბოს დიაგნოზის დასმისთანავე ადამიანები ითრგუნებიან, სასოწარკვეთილებაში ვარდებიან და, ხშირად, ცხოვრებაზე ხელს იქნევენ, მაგრამ ამ დარგში მიღწეულმა სამედიცინო ფარმაკოლოგიურმა წარმატებებმა ნათლად დაგვანახა, რომ სიმსივნე განაჩენი არ არის. ის, უმეტესწილად, განკურნებადია, თუ ადრეულ სტადიაში გამოვავლენთ მას. ამისათვის ექიმები მოუწოდებენ ადამიანებს, რომ წელიწადში ორჯერ ეწვიონ ექიმ-ონკოლოგს, ჩაიტარონ გამოკვლევები, რაც ადრეულ პრევენციას ნიშნავს, პრევენცია კი სიცოცხლის დაზღვევის გარანტიაა.***

ტრადიციულად, მსოფლიოში 4 თებერვალი კიბოსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება. ამ დღის მიზანია მილიონობით ადამიანის სიკვდილის პრევენცია. კიბოს წინააღმდეგ პრევენციის გაუმჯობესების და მკურნალობის გზებს ეძებს მთელი მსოფლიოს სამედიცინო საზოგადოება.

**როგორია ონკოლოგიური მკურნალობის ხელმისაწვდომობა საქართველოში?**

ონკოლოგიური დაავადებები მსოფლიოში სიკვდილიანობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს. მსგავსი დაავადებების მკურნალობა რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს მოითხოვს. საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით დღეის მდგომარეობით საქართველოში აღრიცხულია 40 ათასამდე ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტი.

2015 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა კიბოს პოპულაციური რეგისტრი, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შესაბამისი მონაცემების დამუშავება და გაიზარდა სტატისტიკური მონაცემების სანდოობა. კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემების მიხედვით საქართველოში ყოველწლიურად კიბოს დაახლოებით 10 ათასი ახალი შემთხვევა ფიქსირდება. ბოლო 5 წლის განმავლობაში ონკოლოგიური დაავადებების ახალი შემთხვევების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი - 8,7 ათასი ახალი შემთხვევა 2017 წელს იყო. მომდევნო წლებში კვლავ გაიზარდა და 2019 წელს 10 ათასი ახალი შემთხვევა დარეგისტრირდა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ყოველწლიურად, მნიშვნელოვნად იზრდება სიმსივნის მიზეზით გარდაცვლილთა რაოდენობა. მაგალითად, 2019 წელს სიმსივნის მიზეზით გარდაცვლილთა მაჩვენებელი (7873 შემთხვევა) დაახლოებით 2,5 ჯერ აღემატება 2010 წლის მაჩვენებელს (3085 შემთხვევა). ბოლო ათწლიან პერიოდში არსებული მზარდი ტენდენციის ერთ-ერთ ფაქტორად შესაძლებელია განხილულ იქნას სიკვდილიანობის მიზეზების სტატისტიკის აღრიცხვიანობის მეთოდოლოგიური ცვლილებები. კერძოდ, 2014 წლამდე არსებული სტატისტიკა წარმოადგენს შეფასებით მონაცემებს, ხოლო 2014 წლიდან ეყრდნობა რეგისტრირებულ მონაცემებს. ამასთან, 2015-2017 წლებში გარდაცვალების მიზეზების მონაცემები დაზუსტდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან მიღებული ინფორმაციის (ვერბალური აუტოფსია, კიბოს რეგისტრი და სტაციონალური ელექტრონული სისტემა) საფუძველზე.

მიუხედავად გარკვეული მეთოდოლოგიური ცვლილებებისა, მხოლოდ ბოლო პერიოდის მონაცემების მიხედვითაც, როდესაც ერთი და იგივე მეთოდოლოგიით ხდებოდა აღრიცხვა, სიმსივნის მიზეზით გარდაცვალების მზარდი ტენდენციაა. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ, საქართველოს პრემიერმინისტრის გადაწყვეტილების თანახმად, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა არაქირურგიული მკურნალობისათვის წლიურად ასანაზღაურებელი თანხა. კერძოდ, ქიმიო, სხივური, ჰორმონოთერაპიის და მედიკამენტებისათვის პროგრამით გათვალისწინებული წლიური ლიმიტი 8 000 ლარით გაიზარდა. და საბოლოო ჯამში წლიურად შეადგინა 20 000 ლარი. სახელმწიფო პროგრამების გარდა, ასევე არსებობს კერძო სადაზღვევო სექტორში ონკოლოგიურ დაავადებებზე არსებული სადაზღვევო პოლიტიკაც, სხვადასხვა შინაარსის პოლისების სახით.

- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციართა კატეგორიების მიხედვით ონკოლოგიური მკურნალობისათვის გათვალისწინებული თანაგადახდის პროცენტული მაჩვენებლები 70%-დან 100%-მდე მერყეობს.

- ყველაზე დაბალი თანადაფინანსების მქონე ბენეფიციარებს შორის არიან ის პირებიც, რომელთა ოჯახები რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 70 000-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულა.

- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობაზე მოთხოვნილი დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება. 2015 წელს, მოთხოვნილი იყო დაახლოებით 50 მილიონი ლარის ანაზღაურება, 2019 წელს (ნოემბრის მდგომარეობით) ეს თანხა უკვე 68 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობაზე მოთხოვნილი თანხის ანაზღაურების პროცენტული



მაჩვენებელი 2015-2019 წლებში 72% დან 75%-მდე მერყეობდა.

-სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულით 70,000 მდე) მოქალაქეებისათვის გათვალისწინებული 100%-იანი დაფინანსების მიუხედავად, ონკოქირურგიულ ოპერაციებზე გაცემული დაფინასების მაჩვენებელი, 2019 წელს 76%-მდე არის შემცირებული.

- სარეიტინგო ქულით 70 000-დან 100 000-მდე სოციალურად დაუცველი მოქალაქეების მიერ ონკოლოგიურ მკურნალობაზე მოთხოვნილი თანხიდან ყოველწლიურად ფინანსდება დაახლოებით 68%. ქირურგიული მომსახურების დაფინასების მაჩვენებელი მხოლოდ 55%-ს შეადგენს.

- 2020 წელს, აგვისტოს მდგომარეობით, რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ონკოლოგიური ოპერაციის დაფინანსების მოთხოვნით შევიდა 446 განცხადება (მოთხოვნილი თანხა 11,3 მილიონი ლარი, დადებითი გადაწყვეტილება -235 განცხადებაზე 1,3 მლნ ლარი), მედიკამენტების დაფინანსებს მოთხოვნით 3011 განცხადება (მოთხოვნილი თანხა 12,9 მილიონი ლარი, დადებითი გადაწყვეტილება - 2,431 განცხადებაზე 4,3 მილიონი ლარი), ხოლო სხვა სერვისებზე - 2394 განცხადება ( მოთხოვნილი თანხა 8,4 მილიონი ლარი, დადებითი გადაწყვეტილება 1,155.

ზოგადად ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა იმდენად ძვირად ღირებულია, რომ მასთან დაკავშირებით ქვეყანაში მოქმედი სახელმწიფო პროგრამების ანალიზი აჩვენებს, რომ მოქალაქეებისათვის მსგავსი დაავადებების სრულფასოვანი მკურნალობის ხელმისაწვდომობა კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა. ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის დაფინანსების ძირითად ნაწილს უზრუნველყოფს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მოთხოვნილი და ანაზღაურებული თანხების მაჩვენებლები აჩვენებს, რომ პროგრამა 100%-იანი თანაგადახდის პირობებშიც ვერ უზრუნველყოფს, მათ შორის სოციალურად დაუცველი და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ონკოლოგიური მკურნალობის მინიმალური სამედიცინო საჭიროებების სრულფასოვან დაფინანსებას.

2020 წლის 1 სექტემბრიდან არაქირურგიულ მკურნალობაზე დადგენილი ლიმიტების ზრდა, 8000 ლარი, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მსგავსი მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, თუმცა, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, მოქალაქეებისათვის ონკოლოგიური მკურნალობის სრული კურსის ფინანსურ უზრუნველყოფას. მაგალითად, კვლავ გამოწვევად რჩება ონკოლოგიურ ოპერაციებზე დაწესებული ლიმიტები, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების თანაგადახდის პროცენტული მაჩვენებლები და სხვა.

ონკოლოგიური მკურნალობისთვის, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსების მიღმა დარჩენილი, საჭირო რესურსების გარკვეულ დაფინანსებას უზრუნველყოფს სხვადასხვა სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამები.

თუმცა, მათი შეზღუდული ბიუჯეტის გათვალისწინებით ხშირ შემთხევაში დაფინანსების პროცენტი მინიმალურია. ამასთან, პროგრამის მართვის სპეციფიკა, დაფინანსების გაცემის არაერთგვაროვანი პრაქტიკა და მისი საქმიანობის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევები მნიშვნელოვნად ზრდის დაფინანსების არასამართლიანი გადანაწილების რისკებს. ასევე, ცალკეული პროგრამების დადგენილი პირობების გათვალისწინებით, განსხვავებული შესაძლებლობები ეძლევა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მაცხოვრებელ მოსახლეობას. მაგალითად, მუნიციპალურ ბიუჯეტში გათვალისწინებული განსხვავებული პროგრამები, ამბოლატორიულ პალიატიური მზრუნველობის პროგრამით შეზღუდული რეგიონები და სხვა. ამ კუთხით საინტერესოა რით ეხმარება ჩვენი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი კიბოთი დაავადებულ ადამიანებს.

როგორც ზემოთაც ვთქვით, კიბო განაჩენი არ არის, ის დიაგნოზია, მის დასაძლევლად გასავლელი გზა რთული და დამღლელია ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად და ამ გზაზე უმნიშვნელოვანესია ფინანსური შესაძლებლობები. სახელმწიფო დაფინანსებასთან ერთად ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, შეძლებისდაგვარად, ცდილობს მხარში დაუდგეს და იზრუნოს ონკოლოგიურ ავადმყოფებზე. გვესაუბრება დედოფლისწყაროს **მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსი** დოდო ხუნაშვილი.

-სოციალური დაცვის სამსახური, დადგენილების საფუძველზე გაწერილი გრაფიკის მიხედვით, ფინანსურად ეხმარება მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, კერძოდ, წარმოდგენილი სარეიტინგო ქულების მიხედვით, რომელიც 150 000-მდე ქულას გულისხმობს. ეს ეხება ყველა დანარჩენ დაავადებას, გარდა ონკოლოგიური ავადმყოფებისა. ონკოლოგიური ავადმყოფებისათვის ეს შეზღუდვა მოხსნილია, ფინანსდება ყველა, ვინც მომართავს. მათ უფლება აქვთ, ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში, წელიწადში ორჯერ მიიღონ დაფინანსება. დაფინანსების ზედა ზღვარი ერთჯერადად 500, ხოლო წელიწადში 1000 ლარია. ფინანსდება როგორც რეფერალურ, ისე კერძო კლინიკაში მკურნალობა. 2020 წელს 153 ონკოლოგიურ ავადმყოფზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიხარჯა 46 693 ლარი. ეს დაფინანსება შეუძლიათ გამოიყენონ როგორც მკურნალობის, ასევე კვლევებისათვის. მართალია, ონკოლოგიური მკურნალობა ძვირადღირებულია და საკმაოდ დიდ თანხებს მოითხოვს, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობა მაქსიმუმს აკეთებს. რაც ჩვენს ბიუჯეტს შეუძლია.

იმასთან დაკავშირებით, თუ როგორია ონკოლოგიური მიმართულებით მდგომარეობა ჩვენს მუნიციპალიტეტში, სასაუბროდ ვეწვიეთ დედოფლისწყაროს რეფერალური საავადმ**ყოფო-პოლიკლინიკის ექიმ-ონკოლოგს ქალბატონ** მარინე კვირიკაშვილს:

**ქალბატონო მარინე, როგორია მდგომარეობა ჩვენს მუნიციპალიტეტში, რამდენი ონკო-ავადმყოფი გყავთ აღრიცხვაზე?**

-აღრიცხვაზე სულ ექვსასამდე პირია. აქ მოიაზრებიან მკურნალობაში მყოფი და მკურნალობადამთავრებული მოქალაქეები.

**დღეს 4 თებერვალია, კიბოსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე, რაიმე ღონისძიება ხომ არ გაქვთ დაგეგმილი?**

-ჩვენი კლინიკური მომსახურება არ შედის არც ერთ სამედიცინო პაკეტში, ის ფასიანია და განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა, 30 ლარი ღირს. აქედან გამომდინარე, ჩვენ უფასო მომსახურებას, სურვილის მიუხედავად, ვერ განვახორციელებთ. მართალია, სახელმწიფო კარგად ზრუნავს ონკო-ავადმყოფებზე და აფინანსებს მათ მკურნალობას, მაგრამ ექიმთან ვიზიტი ფასიანია და მას ავადმყოფი საკუთარი ჯიბიდან იხდის.

**მაინც, რომელი ორგანოს დაავადებაა უფრო გავრცელებული?**

-ქალებში საშვილოსნოს და სარძევე ჯირკვლის, მამაკაცებში - ხორხის და ფილტვების, რაც, ძირითადად, სიგარეტის წევის შედეგია. ამ დიაგნოზით 40-დან 60-70 წლის ასაკამდე მოქალაქეები არიან, უფრო ხანდაზმულებს, რადიაციული ფონის გამო, კანის კიბო მეტად აღენიშნებათ. ძალიან გაცვეთილი ფრაზაა „კიბო განაჩენი არ არის", მაგრამ ჭეშმარიტებაა: თუ ადამიანი ყურადღებას აქცევს თავის ჯანმრთელობას და მალევე გაიგებს დიაგნოზს, მკურნალობაც შედეგიანია. დღეს ონკო-მედიცინა სერიოზული მიღწევებით გამოირჩევა როგორც ქირურგიული, ასევე ქიმიო, სხივური, ჰორმონოთერაპიის და მედიკამენტოზური მკურნალობის კუთხით.

**დღევანდელ სიტუაციაში როგორია მათი რისკი კოვიდთან მიმართებაში?**

- რა თქმა უნდა, ონკო-პაციენტები რისკ-ჯგუფს განეკუთვნებიან და ყველანაირად უნდა ეცადონ დაიზღვიონ თავი.

***

ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს მოითხოვს, რომელიც მზარდი ტენდენციით ხასიათდება და მნიშვნელოვნად ზრდის სახელმწიფო ბიუჯეტის ტვირთს. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის, მათ შორის პანდემიის შედეგად არსებული მოლოდინების გათვალისწინებით არსებობს მნიშნელოვანი საფრთხე არსებული მოდელით დაფინანსების და ონკოლოგიური მკურნალობის არსებული ხარისხის შენარჩუნებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ონკოლოგიური დაავადების მკურნალობასთან დაკავშირებით სახელმწიფო დაფინანსების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. მათ შორის მიზანშეწონილია მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით დაიწყოს მსჯელობა საჯარო და კერძო პარტნიორობის ფარგლებში ონკოლოგიურ დაავადებებზე სავალდებულო დაზღვევის სისტემის დანერგვის შესახებ.

მხნეობა და იმედის სხივი ვუსურვოთ ყველა ონკოავადმყოფს და გამოჯანმრთელება.

ნაირა გორაშვილი

# კარი ღიაა, ვინ იქნება შემდეგი?

*51 ოპოზიციონერი დეპუტატი მანდატს ისევ ინარჩუნებს. "ოცნებამ" გადაწყვიტა, მოთხოვნის მიუხედავად, უფლებამოსილება არ გაუუქმოს იმ პოლიტიკოსებს, რომლებმაც არჩევნების შედეგებს უნდობლობა გამოუცხადეს და პარლამენტში არ შევიდნენ. ამას წინ უძღოდა ევროკავშირის ელჩის განცხადება, რომ ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც თავი უნდა შეიკაონ „ნებისმიერი კარის ნაადრევად დახურვისაგან" და მორიგი მოწოდება ქართული ოპოზიციისადმი ევროპარლამენტიდან, რომ ისინი პარლამენტში შევიდნენ.რა იქნება შემდეგ და როგორ შეიძლება ქვეყანაში პოლიტიკური მოვლენები განვითარდეს? ანალიტიკოსები ამბობენ, რომ ხელისუფლებამ ოპოზიციას მოლაპარაკებისთვის კარი ღია კვლავ დაუტოვა და ამის პარალელურად ქართულ საზოგადოებასა და დასავლეთს აჩვენა, რომ მათ პარლამენტში შესაყვანად ყველაფერს აკეთებს. გარდა ამისა, მათივე თქმით, ხელისუფლება პოლიტიკურ პროცესებს გაზაფხულამდე გაწელავს და ოპოზიციის მოქმედებებს დააკვირდება - შეძლებს თუ არა ოპოზიცია ხალხის ქუჩაში გამოყვანას და თუ ვერ შეძლებს, მაშინ სავარაუდოდ ბევრ ოპოზიციონერს ნერვები ულალატებს და პარალმენტში შევა.*

**„დეპუტატებს მივეცით კიდევ ერთი შესაძლებლობა, პატივი სცენ მხარდამჭერების ნებას, რომელთა ორი მესამედი ფავორიტი პარტიების პარლამენტში შესვლის მომხრეა", -** **განაცხადა "ქართული ოცნების" თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ბრიფინგზე. მისი თქმით, რადიკალური ოპოზიციის მიერ დემოკრატიისთვის ძირის გამოთხრის ყოველგვარი მცდელობა წარუმატებლობისთვის არის განწირული. "დღეს, საქართველოს პარლამენტში უკვე წარმოდგენილია სამი პოლიტიკური პარტია. შესაბამისად, რადიკალური ოპოზიციის მიერ დემოკრატიისთვის ძირის გამოთხრის ყოველგვარი მცდელობა წარუმატებლობისთვის არის განწირული. თუმცა, ჩვენ მხედველობაში მივიღეთ ის გარემოება, რომ იმ დეპუტატებს, რომლებმაც წარადგინეს განცხადებები სადეპუტატო მანდატების შეწყვეტის თაობაზე, საპარლამენტო არჩევნებში მხარი ამომრჩევლის 39%-მა დაუჭირა...გარდა ამისა, გავითვალისწინეთ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების დამოკიდებულება საკითხისადმი, რომელიც რადიკალური ოპოზიციისთვის კონსტრუქციულ რელსებზე გადასვლის კიდევ ერთი შანსის მიცემისკენ იხრება",** - განაცხადა ირაკლი კობახიძემ. მისივე თქმით, 20-მდე ოპოზიციონერ დეპუტატს სურს პარლამენტში შესვლა, თუმცა, შანტაჟისა და ბულინგის გამო, ვერ ახერხებენ ამ ნაბიჯის გადადგმას.

ოპოზიციაში პარლამენტის სამშაბათის გადაწყვეტილება მმართველი პარტიის მხრიდან კომპრომისისთვის შესაძლო მზადყოფნად აღიქვამენ. "ვფიქრობ, "ქართულმა ოცნებამ" დაინახა, რომ ქვეყნისთვის დიალოგსა და შეთანხმებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ვფიქრობ, რომ მათ შემდეგი ნაბიჯიც უნდა გადადგან, ოპოზიციასთან კონკრეტული წინადადებებით მოვიდნენ, რომელიც თავად ოპოზიციისთვის იქნება მისაღები. ჩვენ არ ვაპირებთ არანაირი ახალი ინიციატივებით გამოსვლას. ველოდებით "ქართული ოცნებისგან" წინადადებას. მანდატებით ვაჭრობაში შესვლას არ ვაპირებთ, თუმცა, მზად ვართ დიალოგისთვის, რომ დავსხდეთ მეხუთე, მეექვსე თუ მეშვიდე რაუნდზე", - ამის შესახებ ჟურნალისტებს „სტრატეგია აღმაშენებლის""ლიდერმა გიორგი ვაშაძემ განუცხადა.

პარტია „გირჩის" ერთ-ერთი ლიდერის იაგო ხვიჩიას განცხადებით კი, მისი პოლიტიკური ძალა უახლოეს მომავალში "ქართულ ოცნებასთან" და ფასილიტატორებთან შეხვედრას და პოზიციების გაცნობას გეგმავს. ხვიჩიას თქმით, თუ მმართველი პარტია კონსტრუქციული იქნება, არის შანსი, რომ ოპოზიცია პარლამენტში შევიდეს. თუმცა არსებობს ხალხი ყველა მხრიდან, რომელსაც არ უნდა მოლაპარაკება. ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბირაძე ამბობს, რომ ტაქტიკურად ეს არის სწორი გადაწყვეტილება, რადგანაც რაღაც პერიოდის განმავლობაში ხელისუფლებამ ოპოზიციას საცთუნებლად კარი ღია დაუტოვა".

**„ოპოზიციის პერსპექტივა ქუჩაში ნულის ტოლია. ამიტომაც "ოცნებამ" ტაქტიკურად გათვალა, რომ თუკი გაზაფხულზე ოპოზიცია ხალხის ქუჩაში გამოყვანას ვერ შეძლებს და მასობრივი აქციები არ იქნება, იმედგაცრუება სწორედაც რომ ოპოზიციის ნაწილში დაიწყება და ის 20 ადამიანი, ვისზეც კობახიძე საუბრობს, პარლამენტში შევა. ოპოზიციას შეუძლია იჩივლოს და ეს ყველაფერი დროში გაიწელება. ეს კი ყველაზე მეტად "ოცნებას" აწყობს. მაისამდე თუ ამ პროცესს გააჭიანურებს, მერე უკვე გამოჩნდება, რომ ქუჩაში დარჩენილი ოპოზიცია მარტოა და მას ხალხი არ ყვება. ამიტომაც ამაზე გათვალა "ოცნებამ", რომ ვიღაცას ნერვები უმტყუნებს და შევა. მოლაპარაკებები რომც გაგრძელდეს, მმართველი გუნდი მაგიდაზე სალაპარაკო თემად ახალს არაფერს აღარ დადებს, ყოველ შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნებზე არ წავა. საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით უფრო მეტი დათმობები შეიძლება იყოს. შესაძლოა მოლაპარაკების რაუნდები გაგრძელდეს, მაგრამ ეს მხოლოდ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით იქნება. დღეს ხელისუფლება უპირატეს მდგომარეობაშია, რადგანაც ადრე თუ ოპოზიცია ხელისუფლება პოლიტიკურ დღის წესრიგს თავად უყენებდა, ახლა ხელისუფლების დღის წესრიგით თამაში მოუწევთ. როლები შეიცვალა და პოლიტიკურ პროცესებს ახლა ხელისუფლება მართავს", -** აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე.

ყოფილი სახელმწიფო მინისტრი და კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი კი საწინააღმდეგოს ამტკიცებს და ამბობს, რომ „ქართული ოცნება" ჩიხშია - ახლა კი ჩააგდეს კენჭისყრა, მაგრამ გაურკვეველია ამას რამდენ ხანს გააგრძელებენ. ზაქარეიშვილი ამბობს, რომ ისინი ამით ადამიანის უფლებებს არღვევენ და ძალით ცდილობენ, რომ ოპოზიცია პარლამენტში შეიყვანონ. ზაქარეიშვილის შეფასებით, "ოცნების" ტაქტიკა პოლიტიკურად სწორია, თუმცა დანაშაულებრივი, რადგანაც ადამიანებს აიძულებენ ის გააკეთონ, რაც მათ არ უნდათ. მისივე აზრით, რეალურად მმართველ გუნდს აწყობს, რომ ოპოზიცია პარალმენტში არ შევიდეს. ასე თავს უფრო მშვიდად და კომფორტულად იგრძნობს და პარალელურად თვითმმართველობის არჩევნებისთვის ქულებს დაიწერს და იტყვის, რომ ყველაფერი გააკეთა პარლამენტში ოპოზიციის შესაყვანად".

**„ოპოზიცია რამდენად სწორად იქცევა ან არ იქცევა, ეს უკვე სხვა საკითხია. თავის დროზე რომ შესულიყვნენ, კარგი იქნებოდა, მაგრამ ახლა უკვე გვიანია. დღეს ისინი მართლები არიან, როცა ამბობენ, რომ შესვლა არ უნდათ და ესენი ძალით ექაჩებიან. რამდენად სწორია ოპოზიციის გადაწყვეტილება, ამას ამომრჩეველი გადაწყვეტს და ეს თვითმმართველობის არჩევნებზე უკვე გამოჩნდება. მანამდე ამ ხალხს აქვთ უფლება, რომ არ იყვნენ პარლამენტის წევრები. ამიტომ ეს პროცესები ჩიხში შევა. თუ "ოცნებას" ჭკუა არ ეყოფა და ასე გააგრძელა, მაშინ სასამართლო პროცესები წავა. ახლა კენჭისყრის ჩაგდების შემდეგ, ეს დეპუტატები განცხადებებს ისევ დაწერენ, მერე ესენი ისევ ჩააგდებენ და ასე იწუწავებენ მანამდე, სანამ არ მოსწყინდებათ. ეს იქნება საკმაოდ კომიკური ამბავი და საბოლოო ჯამში იძულებულები გახდებიან ოპოზიციის დეპუტატები, რომ "ოცნებას" საკონსტიტუციო სასამართლოში უჩივლონ",** - მიიჩნევს პაატა ზაქარეიშვილი.

საკანონმდებლო ორგანოში ოპოზიციური სპექტრის რამდენიმე წარმომადგენლის შესვლა განხეთქილების ვაშლად იქცა. ეს ფაქტი გააპროტესტა საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და მათ „პოლიტიკური გვამები" უწოდა. ამის მიუხედავად პოლიტიკური პროცესები ძველებურ რეჟიმში გრძელდება. ხელისუფლებაც და ოპოზიციაც თავის პოზიციას ჯიუტად იცავს და მოლაპარაკების მაგიდასთან ჯდომას სატელევიზიო დებატებს ამჯობინებს.

ხელისუფლება ოპოზიციას მოუწოდებს, ჩაერთონ საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის მუშაობაში და ფაქტებით დაამტკიცონ ბრალდებები არჩევნების გაყალბებაზე, ან ბოდიში მოუხადონ საზოგადოებას. ოპოზიცია კი ამას არ აპირებს, მიაჩნიათ, რომ ახლა ამის შემოწმებას აზრი არა აქვს, რადგან „ყველაფერი გადაწიკწიკებულია". გარდა ამისა, კომისიაში მუშაობისთვის საჭიროა პარლამენტში შესვლა, რასაც ოპოზიცია არ გეგმავს. **„ჩვენ გამოვდივართ არჩევნების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივით, რათა საერთაშორისო საზოგადოების მიერ ლეგიტიმურად ცნობილი, კონკურენტულ და თავისუფალ გარემოში ჩატარებული არჩევნების შედეგები და ყველა შესაბამისი ნიუანსი კიდევ ერთხელ დეტალურად იქნას შესწავლილი",** - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, კახა კუჭავამ განაცხადა. მისი თქმით, დროებითი საგამოძიებო კომისია ყველა დაინტერესებული სუბიექტის, საერთაშორისო პარტნიორებისა და ექსპერტების, პოლიტიკური პარტიებისა, თუ შესაბამისი ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართულობით, არჩევნების სრულფასოვან შეფასებას უზრუნველყოფს სხვადასხვა ინსტრუმენტის, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში უბნების მასშტაბური გადათვლის გამოყენებით".

**„ალეკო ელისაშვილი შემოყოლილი განწყობით ამბობდა, თითქოს არჩევნები გაყალბდა, თუ ასე ამბობენ, მაშინ კეთილი ინებოს ყველამ, მათ შორის ელისაშვილის პარტიამ, ამ პროცესში ჩაერთონ და დაამტკიცონ",** - ამის შესახებ ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ განაცხადა. მისი თქმით, „მოქალაქეების" არგუმენტი, რომ საარჩევნო კომისიაში წევრები არ ჰყავდათ და სხვა პარტიებმა უკეთ იციან ფაქტები, ბოლომდე დამაჯერებელი არ არის. **„ისინი ვერ გამოვიდნენ იმ ნარატივიდან, თითქოს არჩევნები გაყალბდა. თუ ასე ამბობენ, მაშინ კეთილი ინებოს ყველამ, მათ შორის ელისაშვილმა და მისმა პარტიამ, ამ პროცესში ჩაერთონ და დაამტკიცონ, გაყალბდა თუ არა. ერთპროცენტიანი ცდომილება დაამტკიცონ და ხელახალი არჩევნები დაინიშნება. კომისიაში ყველა ოპოზიციონერს ვეპატიჟებით, მოვიდნენ და კომისიის მუშაობაში ჩაერთონ, რომ თავად დაამტკიცონ ის, რასაც ამბობენ. თუ მათ აქვთ ერთპროცენტიანი შანსი იმისა, რომ სიყალბე დაადასტურონ მტკიცებულებებით, ფაქტებით და არა მხოლოდ სპეკულაციურად, როგორც აკეთებენ, ამის შანსი აქვთ მხოლოდ საგამოძიებო კომისიის ფარგლებში. თუ არადა, საზოგადოებას ბოდიში მოუხადონ იმის გამო, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ატყუებდნენ",** - თქვა მდინარეძემ, რომლის აზრით, "შეუძლებელია, ობიექტურად მოფიქრალმა ადამიანმა წარმოიდგინო, რომ კომისიაში, მათი 11 300 წარმომადგენლის ხელმოწერები ან მასიურად გაყალბდა, ან ისინი ვიღაცამ აიძულა, რომ შიშით, ზეწოლით ხელი მოეწერათ. ეს წარმოუდგენელი არგუმენტია და მსგავსი არგუმენტი ბუნებაში არც უნდა არსებობდეს".

**„კომისიაში სიამოვნებით ჩავერთვებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ის სამი ოპოზიციური პარტია, რომელსაც მთელი საქართველოს მასშტაბით 3 800 საარჩევნო უბანში კომისიის წევრები ჰყავდა. ესენი არიან „პატრიოტთა ალიანსი", „ნაციონალური მოძრაობა" და მეორე "ნაციონალური მოძრაობა", ბოკერიას პარტია,-** ამის შესახებ საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელმა, პარტია „მოქალაქეების" ლიდერმა, ალეკო ელისაშვილმა **განაცხადა.** მისივე თქმით, გაყალბების სრული სურათის დასანახად დასახელებული პარტიების მონაწილეობა აუცილებელია. **„ამ ხალხს ჰყავდა ცესკო-ს მიერ დაფინანსებული კომისიის წევრები 3 800-ვე უბანზე. ჩვენ სულ რამდენიმე ათეული მოხალისე დამკვირვებელი გვყავდა..."** - განაცხადა ალეკო ელისაშვილმა. „სტრატეგია აღმაშენებლის" ლიდერის გიორგი ვაშაძის განცხადებით, ის პარლამენტში შექმნილ საგამოძიებო კომისიაში მონაწილეობას არ მიიღებს. მისივე თქმით, კომისია „ქართული ოცნების" მიერ არის შექმნილი და მათ უნდათ ამით საკუთარი პოზიციები გაამართლონ".

**„ჩვენ ამ კომისიაში მონაწილეობას არ მივიღებთ იმიტომ, რომ ეს კომისია არის შექმნილი ფაქტობრივად „ქართული ოცნების" მიერ და მათ უნდათ შექმნან ხელოვნური პროცესი, რითაც საკუთარ პოზიციებს გაამართლებენ. ვფიქრობ, რომ საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ იცის, რომ საქართველოში არჩევნები გაყალბდა, არაერთი ფაქტი გვაქვს ამის წარდგენილი. ამ ტიპის სამუშაო პროცესში მონაწილეობას არ მივიღებთ იმიტომ, რომ ბოიკოტს ვუცხადებთ პარლამენტს, რომელიც არის არალეგიტიმური საქართველოში", -** განაცხადა გიორგი ვაშაძემ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლის, ზაალ უდუმაშვილის განცხადებით, დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას აზრი არ აქვს, რადგან არჩევნების შემდეგ დიდი ხანია გასული და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ყველაფერი გადათეთრებულია. ამას გარდა, როგორც უდუმაშვილი ამბობს, ოპოზიცია პარლამენტში შესვლას არ აპირებს და ვერც კომისიაში მიიღებენ მონაწილეობას".

**მოამზადა**
ინგა შიოლაშვილმა

---

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და მოსახლეობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამოჩენილი ქართველი მომღერლის, ანსამბლ „ივერიის" სოლისტის, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის

თეიმურაზ წიკლაურის

გარდაცვალებას და სამძიმარს უხცადებენ მის ოჯახს.

---

მეუღლე მარინა, შვილები: ხათუნა, ქეთი ბეგიაშვილები, დისშვილი ნინო რამიშვილი, სიძეები: კობა პოპიაშვილი, ილია პაპალაშვილი, ნიკა ქოქუაშვილი, ზურა დარგუაშვილი, შვილიშვილები: ანა, ნიკოლოზ პოპიაშვილები, იზა, ნინო, თამაზი პაპალაშვილები, ლიზი, ანდრია ქოქუაშვილები, დეიდა ცირა სპანდერაშვილი, დეიდაშვილები: ნათელა, ნოდარ იაკობიშვილები, მარინა, ვასიკო სპანდერაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ნიკოლოზ ბეგიაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 07.02.2021წ, არბოშიკში.

---

შვილები: გოჩა, მიშიკო ღვინიაშვილები, რძლები: ნანა ყოჩიაშვილი, თეა ალადაშვილი, შვილიშვილები: ანუკი, მარიამი, ლიზი, დაჩი; და ნანა გონაშვილი, დისშვილები: მაია, ლალი ოქროპირიძეები იუწყებიან

ნელი ღვინიაშვილ-გონაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა შაბათს, 6 თებერვალს, ქ.დედოფლისწყაროში.

---

ბიძაშვილი ზეიმა ყაჭაშვილი ოჯახით იუწყება მამიდაშვილის

ნელი ღვინიაშვილ-გონაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს დის ნანა გონაშვილ-ოქროპირიძის, შვილების გოჩა და მიშიკო ღვინიაშვილების ოჯახებს.

---

მძახლები: ნელი შოშიაშვილი, ნინო და ელზა ყოჩიაშვილები ოჯახით იუწყებიან

ნელი ღვინიაშვილ-გონაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მძახლები: ბიჭიკო და გულო ალადაშვილები, ირმა და მამუკა გიგოლაშვილები იუწყებიან

ნელი ღვინიაშვილ-გონაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ნაზი მოსაშვილი და ილიკო ბიკაშვილი ოჯახით იუწყება მეზობლისა და ახლო მეგობრის

ნელი ღვინიაშვილ-გონაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს შვილების გოჩა და მიშიკო ღვინიაშვილების და დის ნანა გონაშვილ-ოქროპირიძის ოჯახებს.

---

გივი, სვეტა, დოდო ლომიძეები, ნოდარ, დალი ლეკაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ნელი ღვინიაშვილ- გონაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მადლენა ყოჩიაშვილი, ეკა და მაკა აფციაურები იუწყებიან უახლოესი მეზობლის

ნელი ღვინიაშვილ-გონაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მიშიკო და გოჩა ღვინიაშვილების ოჯახებს.

---

ელზა ხარაშვილი, დედოფლისწყაროს №1 საშუალო სკოლის 1987-1988 წლის კურსდამთავრებულების სახელით, სამძიმარს უცხადებს თანაკლასელებს: ნანა ყოჩიაშვილს და გოჩა ღვინიაშვილს, დედის

ნელი ღვინიაშვილ-გონაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ქ.დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს პენსიონერ პედაგოგს თებრო აფციაურს ძმის

სოსო (პეტრე) აფციაურის

გარდაცვალების გამო.

---

„მეტრის" ნომინანტების სახელით ნიკოლოზ შანშიაშვილი, რობიზონ ნატროშვილი, გოდერძი გონაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ 2014 წელს საქართველოს მასშტაბით გამოვლენილ „მეტრის" ნომინანტს მერაბ რობიტაშვილს ცოლისძმის

სოსო (პეტრე) აფციაურის

გარდაცვალების გამო.

---

სს „არწივის ხეობის" თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ გელა, ვაჟა, ნათელა ბილიაშვილებისა და სპირიდონ პოპიაშვილის ოჯახებს

მანანა (დოდო) ბილიაშვილის

გარდაცვალების გამო.

# ლიტერატურა დიდსულოვნების მასწავლებელია...

***5 თებერვალი წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეა. იგი მსოფლიოში ცნობილი ღონისძიებაა და ყოველწლიურად მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში აღნიშნავენ.***

საქართველოში წელს მეექვსედ აღინიშნა ეს დღე, თუმცა, ამჯერად უჩვეულო და განსხვავებულ, პანდემიის პირობებში. მსოფლიოს ამ მასშტაბური ღონისძიების მიზანია, მასში ჩაერთოს ბევრი ადამიანი, ვიკითხოთ წიგნი მსოფლიოსთან ერთად და დაუბრუნდეს წიგნს ძველი პოპულარიზაცია. კითხვის მნიშვნელობა მხოლოდ მოცემული ტექსტის გააზრებით არ შემოიფარგლება. კითხვა, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში, დიდ ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა კოგნიტური უნარის განვითარებაზე. აღნიშნული ზეგავლენის ხარისხი დამოკიდებულია კითხვის მოცულობაზე, ანუ იმაზე, თუ რამდენად ბევრს კითხულობს ადამიანი. ბევრი მკვლევარი დარწმუნებულია, რომ სწორედ კითხვა და არა ზეპირი მეტყველება ახდენს ზეგავლენას ლექსიკურ სიმდიდრეზე. თუ ძირითადი ლექსიკური მარაგის შევსება ფორმალური სწავლების პროცესის მიღმა ხდება, მაშინ ახალი სიტყვების სწავლის საშუალებად ზეპირი მეტყველება და წერილობითი ტექსტები რჩება.

ბოლო ათწლეულში ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ და მოსწავლე ახალგაზრდობის კომპიუტერული ტექნიკისადმი უკიდეგანო ინტერესმა დიდი საფიქრალი გაგვიჩინა მშობლებსა თუ პედაგოგებს ჩვენი მომავალი თაობების წიგნისადმი დამოკიდებულების შეცვლაში. უმოკლეს დროში ჩავატარეთ მცირე კვლევა და აღმოჩნდა , რომ მოსწავლეთა უმრავლესობისთვის პედაგოგის ან მშობლის მიერ მიცემული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა ერთგვარ „სასჯელს“ წარმოადგენს, მხოლოდ 10 % კითხულობს სიამოვნების და განათლების მისაღებად. დღეს გაგაცნობთ ისეთ მკითხველს , რომელსაც წიგნის გარეშე ცხოვრება უბრალოდ ვერ წარმოუდგენია და კვირაში ორ-სამ სქელტანიან გამოცემას კითხულობს. სამაგიეროდ, მას ისეთი ლექსიკური მარაგი და ამოუწურავი განათლება აქვს უკვე, რომ საათობით შეგიძლიათ უსმინოთ და მხოლოდ ახალ-ახალი ისწავლოთ ამ მოსმენისას და ინტელექტი აიმაღლოთ.

„წიგნის ქომაგი“ სალომე ნატროშვილია დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარი:

-მართალი გითხრათ, პირველად რა წავიკითხე და როდის, ზუსტად არ მახსოვს. ნამდვილად ღრმა ბავშვობაში იყო. თუმცა, ზუსტად მახსოვს, რატომ წავიკითხე პირველად და რატომ ვკითხულობდი მერე. პირველად “ქრთამის” სანაცვლოდ წავიკითხე, ერთი გვერდის წაკითხვაში ერთ ლარს და 50 თეთრს დამპირდნენ. როცა კუთვნილი 50 ლარი მოვითხოვე, პასუხად მივიღე, რომ იძულებით კითხვაში ვიღებდი ფულს და 100 გვერდს იძულებით არავინ კითხულობს. ამიტომ სულ 5 ლარი მივიღე სანაცვლოდ. მიკვირდა, როგორ შეეძლოთ ადამიანებს საათობით ერთ ადგილზე, გაუნძრევლად ჯდომა ან წოლა და კითხვა. ნელ-ნელა მივხვდი, რატომაც... საინტერესო ამბებში ეხვეოდნენ და მონაწილეობდნენ კიდეც ამაში. რა არის იმაზე არაჩვეულებრივი, უკვე მომხდარი ან წარმოდგენილი ამბის მონაწილე გახდე ისე, რომ ფიზიკური ადგილი არ შეიცვალო?! მერე მოდის გამო ვკითხულობდი. აი, ხომ გახსოვთ, “ამ ავტორის ესა და ეს წაკითხული გაქვს?” “ეს პერსონაჟი გახსოვს?” “ამ ეპიზოდზე რას ფიქრობ?” თავის დამკვიდრების საშუალება იყო იმ ადამიანების თვალში, ვინც მიყვარდა და ვისაც დიდ პატივს ვცემდი, ვინც ავტორიტეტი იყო ჩემთვის. მერე ეს პროცესი შეუქცევადი გახდა და ყოველგვარი ნარცისიზმისგან დაიცალა ისე, რომ ძალიან ბევრი არც ავტორი მახსოვს, არც სათაური, არც საკვანძო ეპიზოდი, არც ეპოქა. მკითხველის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც აუცილებლად ხვდება, რომ არც იმდენად ინფორმირებულობისთვის, არც მოსაყოლად, არც თავის წარმოსაჩენად, არც ტვინის გასავარჯიშებლად და გასაწრთობად არ კითხულობს. მგონია, რომ მხატვრული ლიტერატურის უპირველესი მისიაა, გაუგო სხვას. აპატიო და თუ ვერ შეიყვარებ, არ დევნო მაინც. წიგნის ფუნქციაა, ეჭვქვეშ დააყენოს ის მორალისტური კლიშეები, რომლის გამოც ხელაღებით შეგვიძლია ერთმანეთის უარყოფა. ამიტომ მგონია, რომ ლიტერატურა ჰუმანიზმის ერთ-ერთ ყველაზე მძლავრი იარაღია, რომელსაც ვერცერთი გამომსახველობითი მიმართულება ვერ ცვლის, რადგან არ არსებობს სანახაობა, რომლის მიღმაც არ არის სიტყვა და ფიქრი. სხვისი ფიქრისა და შეგრძნებების თანაზიარების საუკეთესო გზა კი ლიტერატურაა. მიუხედავად იმისა, რომ მკითხველობის ისტორიას ერთი ცინიკური პარადოქსი ახლავს თან და როგორც დღემდე ვიცით, ამ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე ბოროტი კაცი ერთ-ერთი ყველაზე ნაკითხი იყო, (თუ ერთადერთი არა), ეს ამბავი ჩრდილს სულაც ვერ აყენებს ლიტერატურის საზრისს. რა უნდა იყოს იმაზე გასაოცარი, როდესაც ყაჩაღი აღმოჩნდება კაცი, რომელიც მშვიდობით მიგაცილებს სახლამდე (სამშვიდობომდე) ან რას შეუძლია ისე გაგვაოცოს ზრდასრულებიც და პატარებიც, როგორც მოულოდნელ, ერთი შეხედვით არაკანონზომიერ დასასრულს?! წიგნი არის საშუალება, იფიქრო სხვასავით, სხვის მსგავსად, იფიქრო შენთვის ყველაზე მიუღებელი გმირივით და მიხვდე, რატომ მოიქცა ასე. შეხვდე მეგობარს, მტერს და რაც ყველაზე უცნაურია, საკუთარ თავს. გადაგხდეს ყველაფერი, რასაც ასე გულმოდგინედ გაურბიხარ და პასუხი იპოვო კითხვებზე, რომლებიც აქამდე თავსატეხებად გესახებოდნენ, ან ვერ იპოვო და ესეც პასუხად ჩათვალო. და რაც მთავარია, აღფრთოვანდე, რაც ასე იშვიათია და ასე ძნელი, იმის მიუხედავად, როგორ წამდაუწუმ და ანგარიშმიუცემლადაც არ უნდა ვიყენებდეთ ამ ჯადოსნურ სიტყვას “აღფრთოვანება”.

დიახ, აღფრთოვანების წყაროა ლიტერატურა. და როგორც გამორჩეული ამერიკელი მწერალი რიჩარდ ბახი ამბობს „თოლია ჯონათან ლივინგსტონში“, აღმაფრენას მაშინ ვისწავლით, როდესაც დიდსულოვნები გავხდებით. ლიტერატურა კი დიდსულოვნების საუკეთესო მასწავლებელია!“.





**ესაუბრა**
ელზა ხარაშვილი

## მადლიერება

კორონავირუსის გავრცელებამ პანდემიის მიღმა არც მე დამტოვა. დედოფლისწყაროს საავადმყოფოც კოვიდმიმღებ ცენტრად გადაკეთდა. მოწოდების სიმაღლეზე მდგომი ჩვენი ექიმები და ექთნები ყურადღებას არ მაკლებდნენ და ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ჩემი სიცოცხლე გადაერჩინათ. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ექიმ ვასილ გონაშვილს და იმ ოთხ ექთანს - აქსანას, ეკას, თამრიკოს და ლალის, რომლებიც უშუალოდ მე მივლიდნენ და არ ეპუებოდნენ ვერაგ ვირუსს. ხშირად მირეკავდნენ და მკითხულობდნენ ექიმები: ქეთინო და ია. დიდი მადლობა მათ.

ჩვენო გმირო ექიმებო, ექთნებო და სანიტრებო, გისურვებთ ჯანის სიმრთელეს და სულიერ მხნეობას, რათა კვლავ დიდხანს იდგეთ ჩვენი ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე.

იზოლდა ფიროსმანაშვილი-გიგოლაშვილი

## საჯაროდ კითხვის დღე აღინიშნა

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ინიციატივით საქართველოში 3 თებერვალს, უკვე მეექვსედ, წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე აღინიშნა. წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე მსოფლიოში ცნობილი ღონისძიებაა, რომელშიც 100 სხვადასხვა ქვეყნიდან 31 მილიონ ადამიანამდე მონაწილეობს და ერთიანდება საერთო სლოგანის გარშემო: იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო! ეს დღე ადამიანებს მთელი მსოფლიოდან შესაძლებლობას აძლევს გაერთიანდნენ, გაიზიარონ წიგნის ხმამაღლა კითხვის სიხარული და თავადაც შეიტანონ წვლილი კითხვის პოპულარიზაციაში. ასოციაციამ წელსაც დაისახა მიზნად საქართველო ტრადიციულად შეუერთდეს ამ საერთაშორისო ინიციატივას და გახდეს მსოფლიოს ამ მასშტაბური ღონისძიების ნაწილი. პროექტის მეგობარია თიბისი, რომელმაც ყველა მოსწავლესა და სტუდენტს, ვინც წიგნის საჯაროდ კითხვის დღეს გამართულ ავტორების ლაივებს დაესწრო, გადასცა უფასო წვდომა საბას ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე. პანდემიიდან გამომდინარე წლევანდელი ღონისძიება ონლაინ რეჟიმში გაიმართა. 3 თებერვალს, 12 საათზე წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღის გახსნის ღონისძიება გამოჩენილ ქართველ ფილოსოფოსს, მთარგმნელსა და მწერალს, ბაჩანა ბრეგვაძეს მიეძღვნა, რომელსაც 2021 წელს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდებოდა. ონლაინ შეხვედრაზე მის შემოქმედებაზე ისაუბრეს დათო ტურაშვილმა, ზვიად კვარაცხელიამ, გიორგი კეკელიძემ და გვანცა ჯობავამ, რომლებმაც წაიკითხეს ფრაგმენტები მიგელ დე სერვანტესის “დონ კიხოტის” ბაჩანა ბრეგვაძისეული თარგმანიდან.

გარდა ამისა, მთელი დღის განმავლობაში 70-მდე ქართველმა მწერალმა ონლაინ შეხვედრები გამართა სკოლებსა და უნივერსიტეტებში მთელი საქართველოს მასშტაბით, წაიკითხეს ლიტერატურული ტექსტები მოსწავლეებთან და სტუდენტებთან ერთად და კიდევ ერთხელ გაამახვილეს ყურადღება წიგნიერების მნიშვნელობაზე. ღონისძიება 3 თებერვალს, 6 საათზე ოფიციალურად დაიხურა მთარგმნელ ხათუნა ცხადაძის, ფილოსოფოს ლევან ღამბაშიძისა და პოეტ პაატა შამუგიას დისკუსიით თემაზე - „ადამიანი და სახელმწიფო: გამოწვევა და გამოსავალი“. სპიკერებმა ტრადიციულად მიმოიხილეს გასული წლის აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური თემები, განიხილეს ქვეყანაში არსებული ვითარება და მომავლის პერსპექტივები ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობის კონტექსტში, ისაუბრეს ლიტერატურულ ანალოგებზე. საუბრის ბოლოს კი საჯაროდ წაიკითხეს ლიტერატურული ტექსტები. ტრადიციულად, წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღის დასკვნით ღონისძიებაზე უკვე მეექვსედ გამოვლინდა და დაჯილდოვდა წლის წიგნის ქომაგი. 2021 წლის წიგნის ქომაგი ნინო კასრაძე გახდა. მასხიობს ჯილდო ღონისძიების საზეიმო საღამოზე ასოციაციის თავმდჯომარემ, რუსუდან მოსიძემ და აღმასრულებელმა დირექტორმა, თინათინ ბერიაშვილმა გადასცეს.

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 08.02 დღე | ორშაბათი 08.02 ღამე | სამშაბათი 09.02 დღე | სამშაბათი 09.02 ღამე | ოთხშაბათი 10.02 დღე | ოთხშაბათი 10.02 ღამე | ხუთშაბათი 11.02 დღე | ხუთშაბათი 11.02 ღამე | პარასკევი 12.02 დღე | პარასკევი 12.02 ღამე | შაბათი 13.02 დღე | შაბათი 13.02 ღამე | კვირა 14.02 დღე | კვირა 14.02 ღამე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10 ° | 2 ° | 15 ° | 4 ° | 15° | 3° | 14 ° | 2 ° | 13 ° | 2 ° | 11° | 0 ° | 8° | 0° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ქუქუნა ყანჩაშვილი;(ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი(კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი);
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

REDAQCIIS MISAMARTIA:
ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-87;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.